

1688
2009

საქართველოს
საგარეო
აღმართმცემო
ეკლესიის
საგარეო
კავშირების
სამსახური

საგარეო-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები

№4

თბილისი
2009

სპორტულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები



№4
თბილისი
2009



**საგარეო-ეკონომიკური
მეცნიერება და ტექნოლოგიები**
№4 (5)

საერთაშორისო სამეცნიერო-
მეთოდოლოგიური და პრაქტიკული,
ყოველკვარტალური რეფერირებული
ჟურნალი

**Agrarian-economic
Science and Technologies**
№4 (5)

International Scientific-
Methodological and Applied,
Quarterly Referenced Journal

**Аграрно-экономическая
наука и технологии**
№4 (5)

Международный научно-
методологический и практический,
ежеквартальный реферированный
журнал

ქართლის დამუშავებელი და გაყოფხველია
საგარეო ეკონომიკის ინსტიტუტი
(დაფუძნებულია საქართველოს მთავრობის
დადგენილებით-№74, 2006 წლის 5 აპრილი)

თბილისი, იჭავჭავაძის 37, კ.14.
25-81-21; 25-81-20; 25-81-19; 25-81-29
E-mail: areal 44444@gmail.com
www. agroeco.org.ge

თბილისი- Tbilisi
200

ომარ ქეშელაშვილი

სარედაქციო-სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე და მთავარი რედაქტორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

სარედაქციო-სამეცნიერო საბჭო:

მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები: შჭალაგანიძე, გალექსიძე, რასათიანი, ნბალათურია, ადიღებულიძე, ივასაძე, ავაშაძე, თ.ზარდალიშვილი, ჯ.კაციტაძე, აკოზმანიშვილი, ლმარშანია, რ.მახარობლიძე, ც.მირცხულავა, თ.ნანიტაშვილი, პ.ნასყიდაშვილი, ონიანი, ნ.ქარქაშაძე, ვ.ქევიშვილი, რ.ჩაგელიშვილი, ნ.ჩხარტიშვილი, ზ.ჩანქსელიანი, ვ.კანაფა, გ.ჯაფარიძე, ნ.ჭითანავა. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი თ.ურუშაძე.

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები: გ.დოლონაძე, თ.კანდელაკი, პ.კოლუაშვილი (სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი), თ.კუნჭულია (სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი), რ.მანველიძე, ჯ.მახარაძე, გ.ნიკოლეიშვილი (სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი), ნ.ტურაბელიძე, ს.ყამარაული, ე.ხრაიშვილი. სრული პროფესორები: გ.ჯავახიშვილი, რ.კოპალიანი, ნ.ოსებაშვილი, ლ.ჩიბურდანიძე.

სარედაქციო-სამეცნიერო საბჭოს უცხოელი წევრები:

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საზღვარგარეთელი წევრები: ადელ ელ ბელტაგი (გერმანია), სერგი კაზარიანი (სომხეთი), ლუის ფეიგა კუნი (პორტუგალია), მარტინ აპენბრიკი (გერმანია), ჯანიკო მურუსიძე (რუსეთი), გენადი რომანენკო (რუსეთი), ალექსი სიზონოვი (უკრაინა), ჩაბა ჩაკი (უნგრეთი).

- სადიგ სალახოვი (აზერბაიჯანი), გალიბ გაჯიევი (აზერბაიჯანი).

სარედაქციო კოლეგია:

ნუკრი მიხანაშვილი-მთავარი რედაქტორის მოადგილე, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ჯ.მახარაძე-ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ალაფარი-ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ე.მაგანია-ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, თ.მახარაძე-ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, მ.ჩავლეიშვილი-ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ნ.დამენია-აკადემიური დოქტორი; ი.ჯვალალონი-აკადემიური დოქტორი; რ.ჯაბნიძე-მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

O. Keshelashvili

Editor – in – chief and Head of Editor-Scientific Board; Doctor of Economical Science; Professor; Academician of the Academy of Agricultural Science

Editor-Scientific Board:

Doctors of Science, professors, academicians of the Academy of Agricultural Science: Sh. Chalaganidze (president of the Academy); G. Alexidze; R. Asatiani; N. Bagaturia; A. Didebulidze; I. Vasadze; A. Vashakidze; O. Zardalashvili; J. Katsitadze; A. Kozmanishvili; L. Marshania; R. Makharoblidze; Ts. Mirtskhulava; T. Nanitashvili; P. Naskidashvili; O. Oniani; N. Karkashadze; V. Kevkhishvili; R. Chagelishvili; N. Chkharishvili; Z. Charkseliani; V. Chagelishvili; N. Chkartishvili; Z. Chankseliani; V. Tsanova; G. Japaridze; N. Chitanava. Corresponding - of Science and Academy of Agricultural Science – T. Urushadze.

Doctors of Economical Science, Professors: G. Dogonadze; T. Kandelaki; P. koguashvili (corresponding member of the Academy of Agricultural Science); T. Kunchulia (cirresponding member of the Academy of Agricultural Science); R. Manvelidze; J. Makharadze; G. Nikoleishvili (corresponding member of the Academy of agricultural Science); S. Kamarauli; E. Kharaishvili, N. Turabelidze.

Professors: G. Javakhishvili; P. Kopaliani; N. Iosebashvili; L. Chiburdanidze.

Foreign members of Editorial – Scientific Board:

Foreign members of Georgian Academy of Agricultural Science: Adel EL Beltagi (German); Sergi Kazariani (Armenia); Luis Feiga Kuuni (Portugal); Martin Apenbreke (German); Janiko Murusidze (russia); Genadi Romanenko (russia); Aleksei Sizonov (Ukrain); Chaba Chaki (Hungary).

- Sadig Salaxov (Azerbaijan), Galib Gadjev (Azerbaijan),

Editorial Board:

N. Mikhanashvili – Vice editorin–chief, Candidate of Economical Science, J. Makharadze – Doctor of Economical Science; Professor, A. Lapachi –Candidate of Economical Science; E. Dzaganian – Candidate of Economical Science; T. Makharadze - Candidate of Economical Science; M. Chavleishvili –Candidate of Economical Science, N. Damenia; I. Jalagonia, P. Jabnidze – Doctor of Science; Professor,.

1. სამეურნეო რისკი

რისკის გაზარტლმზულობის სინთეზირმზული მკონომიკური პარამეტრმზი დმ პროპორციულობის კომფიციენტმზი

ომარ ქმელმზეილი

ეკონომიკის მეცნიერებმზთა დოქტორი, პროფესორი,
საქმრთველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებმზთა
აკადემიის აკადემიკოსი,
აგრარული ეკონომიკის ინსტიტუტის
სამეცნიერო სბჭოს თმვემჯდომარე-ინსტიტუტის
სამეცნიერო ზელმძღვანელი
მურთმზ მეჭურჭლიშვილი

ეკონომიკის მეცნიერებმზთა კანდიდატი,
ეთერი ბმანი

ეკონომიკის მეცნიერებმზთა კანდიდატი,
ნინო დამენი

აკადემიური დოქტორი
ნიკოლოზ ქმელმზეილი

რეფერმზტი

(ინტერნეტული ვერსიი)

სამეურნეო რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრებისმ დმ უკუგების იბტიმალური დონეების დმდენიმე, ჩვენს მიერ შემუშმვებული მეთოდით სრულიმდ აზღებურმდ ასმხა რისკის გმწვეის დმსმბუთებულობმ დმ მიზანშეწონილობმ.

დმდენიმე, რომ რისკი სოფლის მეურნეობმში ერთ დმ ორ ფმქტორსმ დმ პირობმს როდი უკმვირმდება, იგი ეკონომიკურ-ორგმნიზმციულ დონისმძიებმთა მთელი კომპლექსის მთხზონმ, გმძოლნიებმ დმ ამმვე დროს შედგემ, დმ, თუ უფრო ჩმვედრმმვებით ამ სმკითხს, რისკი უკმვირმდება არმ მართო ეკონომიკურ-ორგმნიზმციულ, არმმედ ეკონომიკურ-ტექნოლოგიურ, ფსიქოლოგიურ, სმმართლებრივ დმ სხვმ ასმექტებსმ დმ ფმქტორებს, რომელმთა ურთიერთშე-წონმსწორებული მოქმედების გმთვალისწინებმ, როგორც წემსმ აუცილებელიმ.

ამ მოსმზრების მხედველობმში მიღებით ჩვენ შევეცდემთ ერთმანეთთან დმგვეკმვირებინმ რისკის გმნიპირობებელი რმდენიმე ფმქტორ-პოზიციმ, კერძოდ ეკონომიკურ-ორგმნიზმციული, ეკონომიკურ-ტექნოლოგიური, სოფინმნისო-სმკრედიტო დმ მარკეტინგული ფმქტორ-პოზიციები, რისთვისმც შემოვიდმთ დმ გმპოვიყენმთ ისეთი მხალი პმრამეტრები, როგორიცმ რისკის მიზანშეწონილობისმ დმ უკუგების სინთეზირებული მმწვენებლები, რომელიც წმრმომდგენს იბტიმზირებულ, შეწონმსწორებულ, ინდექსური ტმპის მმხმსმთებელს. იგი გმსმუშმვებულმდ იელენს დმ ყველმ მირითადი ფმქტორისმ დმ პირობის ურთიერთკმვირმში გმწზოგმდებულმდ სმნის ჯერ ერთი, რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარს დმ მეორეც - მისი უკუგების, მნუ ევექტიმნიობის დონეს, რომელიც მმარ სმფუძველს გვმძღვეს გმწზოგმდებულმდ ემსველთო რისკის სმერთო გმმართლებულობმსმ დმ შედგეზე.

ჩმტარებული კვლევის შედეგების მნლიზის სმფუძველზე დმდენიმე, რომ რმც უფრო მმალმ რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი დმ მმალმ უკუგების დონე, მით



უფრო გამართლებულია სხვადასხვა ფაქტორ-პოზიციათა მხედველობაში მიღებით გაწვეული რისკი. ასევე დადგინდა პროპორციული დამოკიდებულება რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის და რისკის უკუგების დონის სინთეზირებულ მაჩვენებლებს შორის, რომელმაც გამოავლინა დამოკიდებულების კანონზომიერება და მათი ურთიერთქმედების ტენდენცია ამ ორ მაჩვენებელს შორის, რაც საკმაოდ საინტერესო და მნიშვნელოვანია რისკის რეგულირებისა და მართვის თვალსაზრისით.

საერთოდ, გამოკვლევებმა საშუალება მოგვცა საქართველოს პირობებში პირველად დაგვედგინა სამეურნეო რისკის მიზანშეწონილობისა და ეკონომიკური უკუგების დონის სინთეზირებული-ოპტიმიზირებული პარამეტრები, სხვადასხვა საწარმოო მიმართულების ფერმერული მეურნეობებისათვის, არსებით ფაქტორ-პოზიციათა შესაბამისად, რაც უნდა მივიჩნიოთ პრაქტიკული (გამოყენებითი) ხასიათის სტრატეგიულ მეცნიერულ რეკონსტრუქციად, რომელიც საწარმოო და ეკონომიკურ-ორგანიზაციული პირობების ცვლილებისდაკვალად, ეტაპობრივად უნდა კორექტირდებოდეს და სრულყოფილი ხდებოდეს.

ნაშრომი შესრულდა სახელმწიფო საგრანტო პროექტის „რისკის მართვა ფერმერულ მეურნეობებში“ ფარგლებში. აღნიშნული პროექტი განხორციელდა სსიპ-ქართველოლოგიის, პუბლიკაციური და სოციალური მეცნიერებების ფონდში (რუსთაველის ფონდი) მიზნობრივი გრანტის მეშვეობით (გრანტის № 020-08; კოდი: 07-15-2-610). წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი აზრი ეკუთვნის ავტორებს და შესაძლოა არ ასახავდეს სსიპ-ქართველოლოგიის, პუბლიკაციური და სოციალური მეცნიერებების ფონდის (რუსთაველის ფონდი) შეხვედრებს.

სამეურნეო რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრებისა და უკუგების ოპტიმალური დონეების დადგენამ, ჩვენს მიერ შემუშავებული მეთოდით სრულიად ახლებურად ასახა რისკის გაწვევის დასაბუთებულობა და მიზანშეწონილობა.

დადგინდა, რომ რისკი სოფლის მეურნეობაში ერთ და ორ ფაქტორსა და პირობას როდი უკავშირდება, იგი ეკონომიკურ-ორგანიზაციულ დონისძიებათა მთელი კომპლექსის მოთხოვნა, გამოვლინება და ამავე დროს შედეგაა, და, თუ უფრო ჩაუღრმავდებით ამ საკითხს, რისკი უკავშირდება არა მარტო ეკონომიკურ-ორგანიზაციულ, არამედ ეკონომიკურ-ტექნოლოგიურ, ფსიქოლოგიურ, სამართლებრივ და სხვა ასპექტებსა და ფაქტორებს, რომელთა ურთიერთშეწონასწორებული მოქმედების გათვალისწინება, როგორც წესი აუცილებელია.

ამ მოსაზრების მხედველობაში მიღებით ჩვენ შევეცადეთ ერთმანეთთან დაგვეკავშირებინა რისკის განმპირობებელი რამდენიმე ფაქტორ-პოზიცია, კერძოდ, ეკონომიკურ-ორგანიზაციული, ეკონომიკურ-ტექნოლოგიური, საფინანსო-საკრედიტო და მარკეტინგული ფაქტორ-პოზიციები, რისთვისაც შემოვიღეთ და გამოვიყენეთ ისეთი ახალი პარამეტრები, როგორიცაა რისკის მიზანშეწონილობისა და უკუგების სინთეზირებული მაჩვენებლები, რომელიც წარმოადგენს ოპტიმიზირებულ, შეწონასწორებულ, ინდექსური ტიპის მახასიათებელს. იგი გასაშუალებულად ავლენს და ყველა ძირითადი ფაქტორისა და პირობის ურთიერთკავშირში განზოგადებულად ხსნის ჯერ ერთი, რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკურ ზღვარს და მეორეც-მისი უკუგების, ანუ ეფექტიანობის დონეს, რომელიც მყარ საფუძველს გვაძლევს განზოგადებულად ვიმსჯელოთ რისკის საერთო გამართლებულობასა და შედეგზე.

აღნიშნული სინთეზირებული მაჩვენებელი გათვლილი იქნა შემდეგი ფორმულით:

$$SR = (R_1 + R_2 + R_3 + \dots + R_n) / n$$

$$SL = (L_1 + L_2 + L_3 + \dots + L_n) / n$$

სადაც: SR – არის რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის სინთეზირებული მაჩვენებელი;

SL – არის რისკის უკუგების დონის სინთეზირებული მაჩვენებელი;

$R_1; R_2; R_3 \dots R_n$ - არის რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი 1,2,3...n ტიპური მუერნობებისათვის;

$L_1; L_2; L_3 \dots L_n$ - არის რისკის უკუგების ღონე 1,2,3...n ტიპური მუერნობებისათვის;

n - მუერნობათა რაოდენობა.

ამრიგად, რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის სინთეზირებული მაჩვენებელი გაიანგარიშება, ცალკეული მიმართულების მუერნობების რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის ჯამის შეფარდებით მუერნობათა რაოდენობაზე. ხოლო რისკის უკუგების ღონის სინთეზირებული მაჩვენებელი კი, ცალკეული მიმართულების მუერნობების რისკის უკუგების ღონის ჯამის შეფარდებით მუერნობათა რაოდენობაზე.

ამ მაჩვენებლების ანალიზით დადგინდა, რომ რაც დაბალია SR და მაღალია SL მით უფრო გამართლებულია სხვადასხვა ფაქტორ-პოზიციათა ერთობლიობით გაწეული რისკი.

აღნიშნული ფორმულების გამოყენებით გაანგარიშებული იქნა რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის და უკუგების ღონის სინთეზირებული მაჩვენებლები და დადგინდა ამ ორ მაჩვენებელს შორის პროპორციული დამოკიდებულების კოეფიციენტი, რომელიც გაიანგარიშება რისკის უკუგების ღონის სინთეზირებული მაჩვენებლის შეფარდებით რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის სინთეზირებული მაჩვენებელთან და გვიჩვენებს რისკის გაწევის გამართლებულობას, ანუ რაც უფრო მაღალია პროპორციულობის კოეფიციენტი, მით უფრო გამართლებულია რისკი და მეტია მოგების მიღების შანსი.

გაანგარიშებები შესრულდა საკვლევად შერჩეული ცალკეული საწარმოო მიმართულების (მეზოსტნეობის, მევენახეობის, მეხილეობის, მეჩაიეობის, მეციტრუსეობის, მემარცვლეობის, მეცხოველეობის) ფერმერული მუერნობების მიხედვით, რომელიც მოცემულია ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილებში:

რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრებისა და უკუგების ღონეების სინთეზირებული მაჩვენებლები მეზოსტნეობის მიმართულების

ფერმერულ მუერნობებში ცხრილი 1

	კოეფიციენტი - ნ ტ ე ბ ი
რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის სინთეზირებული მაჩვენებელი	0,56
რისკის უკუგების ღონის სინთეზირებული მაჩვენებელი	0,98
პროპორციულობის კოეფიციენტი	1,75

რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრებისა და უკუგების ღონეების სინთეზირებული მაჩვენებლები მევენახეობის მიმართულების

ფერმერულ მუერნობებში ცხრილი 2

	კოეფიციენტი - ნ ტ ე ბ ი
რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის სინთეზირებული მაჩვენებელი	0,65
რისკის უკუგების ღონის სინთეზირებული მაჩვენებელი	1,03
პროპორციულობის კოეფიციენტი	1,58



რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრებისა და უკუგების დონეების
 სინთეზირებული მაჩვენებლები მეხილეობის მიმართულების
 ფერმერულ მეურნეობებში

ცხრილი 3

	კ ო მ ე ფ ი ც ი მ - ნ ტ ე ბ ი
რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის სინთეზირებული მაჩვენებელი	0,52
რისკის უკუგების დონის სინთეზირებული მაჩვენებელი	143
პროპორციულობის კოეფიციენტი	2,75

რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრებისა და უკუგების დონეების
 სინთეზირებული მაჩვენებლები მეცხვრეულობის მიმართულების
 ფერმერულ მეურნეობებში

ცხრილი 4

	კ ო მ ე ფ ი ც ი მ - ნ ტ ე ბ ი
რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის სინთეზირებული მაჩვენებელი	0,64
რისკის უკუგების დონის სინთეზირებული მაჩვენებელი	104
პროპორციულობის კოეფიციენტი	1,63

რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრებისა და უკუგების დონეების
 სინთეზირებული მაჩვენებლები მეცხოველეობის მიმართულების
 ფერმერულ მეურნეობებში

ცხრილი 5

	კ ო მ ე ფ ი ც ი მ - ნ ტ ე ბ ი
რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის სინთეზირებული მაჩვენებელი	0,53
რისკის უკუგების დონის სინთეზირებული მაჩვენებელი	100
პროპორციულობის კოეფიციენტი	1,89

რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრებისა და უკუგების დონეების
 სინთეზირებული მაჩვენებლები მემარცვლეობის მიმართულების
 ფერმერულ მეურნეობებში

ცხრილი 6

	კ ო მ ე ფ ი ც ი მ - ნ ტ ე ბ ი
რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის სინთეზირებული მაჩვენებელი	0,61
რისკის უკუგების დონის სინთეზირებული მაჩვენებელი	0,95
პროპორციულობის კოეფიციენტი	1,56

ჩატარებული კვლევის შედეგების ანალიზის (იხილეთ ცხრილები 1,2,3,4,5,6 მონაცემები) საფუძველზე დადგინდა, რომ რაც უფრო დაბალია რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი და მაღალია უკუგების დონე, მით უფრო გამართლებულია სხვადასხვა ფაქტორ-პოზიციათა მხედველობაში მიღებით გაწეული რისკი. ასევე დადგინდა პროპორციული დამოკიდებულება რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის და რისკის უკუგების დონის სინთეზირებულ მაჩვენებლებს შორის, რომელმაც გამოავლინა დამოკიდებულების კანონზომიერება და მათი ურთიერთქმედების ტენდენცია ამ ორ მაჩვენებელს შორის, რაც საკმაოდ საინტერესო და მნიშვნელოვანია რისკის რეგულირებისა და მართვის თვალსაზრისით.

სინთეზირებული მაჩვენებლების გაანგარიშებამ კიდევ უფრო ნათელი გახადა და დადასტურა ჩატარებული კვლევის შედეგების სანდოობა. გამოვლინდა, რომ რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის და უკუგების დონის სინთეზირებული მაჩვენებლები მეზოსტნეობის მიმართულების ფერმერულ მეურნეობებში (14 მეურნეობა) საშუალოდ შეადგენს შესაბამისად 0,56 და 0,98, ანუ ყოველ დახარჯულ 0,56 ლარზე მიღებულია 0,98 ლარის შემოსავალი. ხოლო პროპორციულობის კოეფიციენტი, ანუ დამოკიდებულება ამ ორ მაჩვენებელს შორის შეადგენს 1,75 (ცხრილი 1), რაც ნიშნავს, რომ აღნიშნულ შემთხვევაში რისკი მეტ-ნაკლებად გამართლებულია.

მევენახეობის მიმართულების ფერმერულ მეურნეობებში (14 მეურნეობა) რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის სინთეზირებული მაჩვენებელი საშუალოდ შეადგენს 0,65, ხოლო უკუგების დონის სინთეზირებული მაჩვენებელი - 1,03, პროპორციულობის კოეფიციენტი - 1,58 (ცხრილი 2).

მეხილეობის მიმართულების ფერმერულ მეურნეობებში (14 მეურნეობა) ანალოგიური მაჩვენებლები შესაბამისად შეადგენს 0,52, 1,43 და 2,75 (ცხრილი 3).

მეცენტრუსეობის მიმართულების ფერმერულ მეურნეობებში (10 მეურნეობა) რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის სინთეზირებული მაჩვენებელი საშუალოდ შეადგენს 0,64, უკუგების დონის სინთეზირებული მაჩვენებელი კი 1,04, პროპორციულობის კოეფიციენტი ამ ორ მაჩვენებელს შორის კი 1,63-ია (ცხრილი 4).

მეძარცველობის მიმართულების ფერმერულ მეურნეობებში (27 მეურნეობა) რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის სინთეზირებული მაჩვენებელი საშუალოდ შეადგენს 0,61, რისკის უკუგების დონის მაჩვენებელი კი 0,95, ხოლო პროპორციულობის კოეფიციენტი ამ მაჩვენებლებს შორის - 1,56 (ცხრილი 6).

მეცხოველეობის მიმართულების ფერმერულ მეურნეობებში (22 მეურნეობა) რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის სინთეზირებული მაჩვენებელი საშუალოდ შეადგენს 0,53, რისკის უკუგების დონის სინთეზირებული მაჩვენებელი კი 1,00, პროპორციულობის კოეფიციენტი - 1,89 (ცხრილი 5).

ზემოთ წარმოდგენილი გაანგარიშებების საფუძველზე, დადგინდა სამეურნეო რისკის შეფასების სინთეზირებული, ოპტიმიზირებული ეკონომიკური პარამეტრები არსებითი ფაქტორების მოქმედების გათვალისწინებით. დადასტურდა კვლევის შედეგად გამოვლენილი სამეურნეო რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის და რისკის უკუგების ოპტიმალური დონეების სანდოობა და არსებულ პირობებში მათი დამკვერებლობის ხარისხი.

გამოკვლევების შედეგად, შერჩეული ტიპური, სხვადასხვა საწარმოო მიმართულების ფერმერული მეურნეობების მიხედვით დადგინდა აგრეთვე რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრებისა და უკუგების დონეების კონკრეტული სინთეზირებული მაჩვენებლები ცალკეულ ფაქტორ-პოზიციათა შესაბამისად, რამაც საშუალება მოგვცა ჩამოგვეყალიბებინა გამოყენებითი ხასიათის მეცნიერულად დასაბუთებული წინადადებები.

ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ ოპტიმალურია მებოსტნეობის მიმართულებების ფერმერული მეურნეობები, სადაც სპეციალიზაციის კოეფიციენტი მერყეობს 0,21-0,40 - ის ფარგლებში. აღნიშნულ პირობებში რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის სინთეზირებული მაჩვენებელი შეადგენს 0,41, რისკის უკუგების დონის სინთეზირებული მაჩვენებელი 1,53, პროპორციულობის კოეფიციენტი კი 3,73.

ოპტიმალურია ის ფერმერული მეურნეობები, სადაც ბოსტნეულის ფართობი მერყეობს 0,1-დან 2,0 ჰექტრის ფარგლებში. ამ დროს რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის სინთეზირებული მაჩვენებელი შეადგენს 0,48, რისკის უკუგების დონის სინთეზირებული მაჩვენებელი 1,26 და პროპორციულობის კოეფიციენტი 2,63.

მოსავლიანობის მიხედვით ოპტიმალურია მეურნეობები, სადაც ბოსტნეულის მოსავლიანობა საშუალოდ ჰექტარზე შეადგენს 100-200 ცენტნერს, ამ შემთხვევაში რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის სინთეზირებული მაჩვენებელი შეადგენს 0,45, რისკის უკუგების დონის სინთეზირებული მაჩვენებელი 1,22-ს, პროპორციულობის კოეფიციენტი 2,71.

პროდუქციის სარეალიზაციო ფასის მიხედვით ოპტიმალურია ის მეურნეობები, რომლებიც 1 ც. ბოსტნეულს ყიდიან 15-50 ლარის ფარგლებში. ამ შემთხვევაში რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის სინთეზირებული მაჩვენებელი შეადგენს 0,45, რისკის უკუგების დონის სინთეზირებული მაჩვენებელი 1,33 და პროპორციულობის კოეფიციენტი 2,96 (ცხრილი 7).

რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრისა და რისკის უკუგების დონის სინთეზირებული მაჩვენებლების ანალიზი ადასტურებს, რომ მებოსტნეობის მიმართულ მერყეულ მეურნეობებში მიზანშეწონილია: წარმოების სპეციალიზაციის სრულყოფა, არსებული ფართობის პირობებში ბოსტნეული კულტურების ოპტიმალური (რაციონალური) შეთანაწყობა, მოსავლიანობის შენარჩუნება საშუალოდ 1 ჰა-ზე 150-200 ცენტნერის და 1 ცენტნერი პროდუქციის საშუალო სარეალიზაციო ფასის 80-100 ლარის ფარგლებში (ცხრილი 7).

მევენახეობის მიმართულების ფერმერული მეურნეობებიდან სპეციალიზაციის კოეფიციენტის მიხედვით ოპტიმალურია ის მეურნეობები, სადაც სპეციალიზაციის კოეფიციენტი 0,61-0,70 - ის ფარგლებში მერყეობს. ამ მეურნეობებში რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის სინთეზირებული მაჩვენებელი შეადგენს 0,62, რისკის უკუგების დონის სინთეზირებული მაჩვენებელი 1,05, ხოლო ამ ორ მაჩვენებელს შორის პროპორციულობის კოეფიციენტი 1,69-ს.

ფართობის სიდიდის მიხედვით ოპტიმალურია ის მეურნეობები, სადაც ვენახის ფართობი საშუალოდ შეადგენს 20-23 ჰა-ს. ამ შემთხვევაში, რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის და რისკის უკუგების დონის სინთეზირებული მაჩვენებლები შესაბამისად შეადგენს 0,37 და 1,93, პროპორციულობის კოეფიციენტი კი 5,21.

მოსავლიანობის მიხედვით ოპტიმალურია ის მეურნეობები, სადაც ყურძნის მოსავლიანობა საშუალოდ ჰექტარზე მერყეობს 60-100 ცენტნერის ფარგლებში. ამ შემთხვევაში, რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის სინთეზირებული მაჩვენებელი შეადგენს 0,53, რისკის უკუგების დონის სინთეზირებული მაჩვენებელი 1,15 და პროპორციულობის კოეფიციენტი 2,17.

ერთი ცენტნერი პროდუქციის სარეალიზაციო ფასის მიხედვით ოპტიმალურია ის მეურნეობები, რომლებიც 1 ც. ყურძენს ყიდიან 51-80 ლარის ფარგლებში. ამ შემთხვევაში, რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის და რისკის უკუგების დონის სინთეზირებული მაჩვენებლები შესაბამისად შეადგენს 0,58 და 1,31, ხოლო პროპორციულობის კოეფიციენტი 2,26 (ცხრილი 8).

როგორც კვლევის შედეგებიდან ჩანს, მევენახეობის მიმართულების ფერმერულ მეურნეობებში, მიზანშეწონილია გაღრმავდეს წარმოების სპეციალიზაციის დონე; ვენახის ფართობი ერთ მეურნეობაზე საშუალოდ უნდა შეადგენდეს 20-25 ჰექტარს;

მოსავლიანობა უნდა იყოს 80-100 ცენტნერის ფარგლებში; ერთი ცენტნერი პროდუქციის სარეალიზაციო ფასი სასურველია მერყეობდეს 70-100 ლარის ფარგლებში.

მეხილეობის მიმართულების ფერმერულ მეურნეობებში წარმოების სპეციალიზაციის კოეფიციენტის მიხედვით ოპტიმალურია ის მეურნეობები, რომელთა სპეციალიზაციის კოეფიციენტი მერყეობს 0,40-0,60 - ის ფარგლებში. ამ მეურნეობებში რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის და რისკის უკუგების დონის სინთეზირებული მაჩვენებლები შესაბამისად შეადგენს 0,53 და 1,24, პროპორციულობის კოეფიციენტი კი 2,34.

ფართობის მიხედვით ოპტიმალურია ის მეურნეობები, რომლებიც ფლობენ 3,1-5,0 ჰექტარ ხილის ფართობს. ამ შემთხვევაში, რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის და რისკის უკუგების დონის სინთეზირებული მაჩვენებლები შესაბამისად შეადგენს 0,47 და 1,56, პროპორციულობის კოეფიციენტი კი 3,32.

მოსავლიანობის მიხედვით ოპტიმალურია ის მეურნეობები, რომლებიც ჰექტარზე საშუალოდ ღებულობენ 150-160 ცენტნერ ხილს. ამ შემთხვევაში, რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის და რისკის უკუგების დონის სინთეზირებული მაჩვენებლები შესაბამისად შეადგენს 0,42 და 1,92, პროპორციულობის კოეფიციენტი კი 4,57.

ერთი ცენტნერი პროდუქციის სარეალიზაციო ფასის მიხედვით ოპტიმალურია ის მეურნეობები, რომლებიც 1ც. პროდუქციას საშუალოდ ყიდიან 41-60 ლარის ფარგლებში ამ შემთხვევაში, რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის და რისკის უკუგების დონის სინთეზირებული მაჩვენებლები შესაბამისად შეადგენს 0,26 და 2,91, ხოლო პროპორციულობის კოეფიციენტი 11,2 (ცხრილი 9).

ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ მეხილეობის მიმართულების ფერმერულ მეურნეობებში საჭიროა კიდევ უფრო გაღრმავდეს წარმოების სპეციალიზაციის დონე (0,61-0,70-მდე);

ხილის ფართობი გაიზარდოს საშუალოდ ერთ მეურნეობაზე გაანგარიშებით 10-15 ჰა-მდე;

მოსავლიანობა საშუალოდ ჰექტარზე გაიზარდოს 180-200 ცენტნერამდე;

ერთი ცენტნერი ხილის საშუალო სარეალიზაციო ფასი სასურველია შეადგენდეს 70-90 ლარს.

ხილის წარმოების გადიდების მიზნით სასურველია ხეხილის ნარგავების ჯიშობრივი სტრუქტურის გაუმჯობესება და მერხერიანობის დონის მინიმუმამდე შემცირება.

მეციტრუსების მიმართულების ფერმერული მეურნეობების ანალიზით გაირკვა, რომ სპეციალიზაციის კოეფიციენტი ყველა შესწავლილ მეურნეობებში ერთის ტოლია, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ მეურნეობები მხოლოდ ერთდარგაიანია. ამ მეურნეობებში რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის და რისკის უკუგების დონის სინთეზირებული მაჩვენებლები შესაბამისად შეადგენს 0,43 და 2,32, პროპორციულობის კოეფიციენტი კი 5,38. ეს მონაცემები აშკარად მიუთითებს, რომ სპეციალიზაციის ასეთ პირობებში გაწეული რისკი უზრუნველყოფს მეურნეობათა მომგებიან საქმიანობას ანუ სასურველი შედეგის მომტანი იქნება.

ფართობის მიხედვით ოპტიმალურია ის ფერმერული მეურნეობები, რომელთა ფართობი მერყეობს 1,1-2,0 ჰექტარის ფარგლებში. ამ შემთხვევაში, რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის და რისკის უკუგების დონის სინთეზირებული მაჩვენებლები შესაბამისად შეადგენს 0,56 და 1,32, პროპორციულობის კოეფიციენტი კი 2,36.

მოსავლიანობის მიხედვით ოპტიმალურია მეურნეობათა ის ჯგუფი, სადაც მოსავლიანობა ჰექტარზე საშუალოდ 151-250 ცენტნერის ფარგლებში მერყეობს. ამ დროს, რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის და რისკის უკუგების დონის სინთეზირებული მაჩვენებლები შესაბამისად შეადგენს 0,44 და 1,33, პროპორციულობის კოეფიციენტი კი 3,02.

ერთი ცენტნერი პროდუქციის სარეალიზაციო ფასის მიხედვით ოპტიმალურია ის მეურნეობები, რომლებიც 1 ცენტნერ ციტრუსს საშუალოდ 31-40 ლარის ფარგლებში ყიდნან. ამ შემთხვევაში, რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის და რისკის უკუგების დონის სინთეზირებული მაჩვენებლები შესაბამისად შეადგენს 0,48 და 1,07, ხოლო პროპორციულობის კოეფიციენტი 2,23 (ცხრილი 10).

კვლევა გვიჩვენა, რომ მეციტრუსეობის მიმართულების ფერმერულ მეურნეობებში მიზანშეწონილია: შენარჩუნებული იქნას წარმოების სპეციალიზაციის არსებული დონე; ციტრუსის ფართობი საშუალოდ ერთ მეურნეობაზე გაანგარიშებით გაიზარდოს 2,5-3,0 ჰექტარამდე;

ხოლო მოსავლიანობა საშუალოდ ჰექტარზე გაიზარდოს 180-220 ცენტნერამდე;

მემარცვლეობის მიმართულების ფერმერულ მეურნეობებში ჩატარებულმა ანალიზმა გამოავლინა, რომ ღრმა სპეციალიზაციის პირობებში (0,71 და მეტი) რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის და რისკის უკუგების დონის სინთეზირებული მაჩვენებლები მაღალია და შესაბამისად შეადგენს 0,52 და 1,22, პროპორციულობის კოეფიციენტი კი 5,38.

ფართობის მიხედვით თუ განვიხილავთ სინთეზირებულ მაჩვენებლებს, დასტურდება, რომ ოპტიმალურია ის ფერმერული მეურნეობები, რომელთა ფართობი 21-50 ჰექტარის ფარგლებში მერყეობს. ამ მეურნეობებში რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის და რისკის უკუგების დონის სინთეზირებული მაჩვენებლები შესაბამისად შეადგენს 0,45 და 1,23, პროპორციულობის კოეფიციენტი - 2,73.

მოსავლიანობის მიხედვით ოპტიმალურია ის ფერმერული მეურნეობები, რომლებიც ჰექტარზე 31 და მეტი ცენტნერ მოსავალს ღებულობენ. მიზანშეწონილობის ამ შემთხვევაში, ეკონომიკური ზღვრის და რისკის უკუგების დონის სინთეზირებული მაჩვენებლები მაღალია და შესაბამისად შეადგენს 0,51 და 1,11, ხოლო პროპორციულობის კოეფიციენტი კი 2,18.

რაც შეეხება ერთი ცენტნერი პროდუქციის სარეალიზაციო ფასის ოპტიმალურია ის მეურნეობები, რომლებიც ერთ ცენტნერ მარცვალს საშუალოდ 51-60 ლარის ფარგლებში ჰყიდნან. ამ დროს, რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის და რისკის უკუგების დონის სინთეზირებული მაჩვენებლები ამ მეურნეობებში შესაბამისად შეადგენს 0,43 და 1,63, ხოლო პროპორციულობის კოეფიციენტი კი 3,79 (ცხრილი 10).

რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის და რისკის უკუგების დონის სინთეზირებული მაჩვენებლების ანალიზი ადასტურებს, რომ მემარცვლეობის მიმართულების ფერმერულ მეურნეობებში დაბალი რისკისა და მაღალი უკუგების მისაღებად რეკომენდირებულია:

წარმოების სპეციალიზაციის გაღრმავება (0,70-0,75);

საშუალოდ ერთ მეურნეობაში მარცვლეული კულტურების ფართობი იყოს 30-50 ჰა;

საშუალო მოსავლიანობა ერთ ჰექტარზე იყოს 31-40 ცენტნერი;
1 ცენტნერი მარცვლის სარეალიზაციო ფასი მერყეობდეს საშუალოდ 51-60 ლარის ფარგლებში.

მეცხოველეობის (მერძეული) მიმართულების ფერმერულ მეურნეობებში ჩატარებული ანალიზით დასტურდება, რომ რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის სინთეზირებული მაჩვენებელი დაბალია და რისკის უკუგების დონის სინთეზირებული მაჩვენებელი მაღალი, იმ ფერმერულ მეურნეობებში, რომელთა საკეც-ალიზაციის კოეფიციენტი მერყეობს 0,71-0,80-ის ფარგლებში. აქ რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის და მისი უკუგების დონის სინთეზირებული მაჩვენებლები შესაბამისად შეადგენს 0,44 და 1,28, პროპორციულობის კოეფიციენტი კი - 2,91.

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მთლიანი სულადობის მიხედვით ოპტიმალურია ის მეურნეობა, სადაც მათი სულადობა 51-100 სულის ფარგლებში მერყეობს. ამ შემთხვევაში რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის და რისკის უკუგების დონის სინთეზირებული მაჩვენებლები შეადგენს 0,51 და 1,02, პროპორციულობის კოეფიციენტი კი - 2,0.

ფურების სულადობის მიხედვით ოპტიმალურია ის მეურნეობები, სადაც ფურების სულადობა საშუალოდ 31-50 სულის ფარგლებში მარყეობს. ამ შემთხვევაში, რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის და რისკის უკუგების დონის სინთეზირებული მაჩვენებლები შეადგენს 0,45 და 1,22, პროპორციულობის კოეფიციენტი კი - 2,71.

ფურების საშუალო წლიური წველადობის მიხედვით ოპტიმალურია ის მეურნეობები, სადაც ერთ სულ ფურზე წელიწადში 1500-1900 კგ. რძეს დებულობენ, ამ შემთხვევაში, რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის და რისკის უკუგების დონის სინთეზირებული მაჩვენებლები შეადგენს 0,46 და 1,18, ხოლო პროპორციულობის კოეფიციენტი კი - 2,57.

ერთი ცენტნერი რძის სარეალიზაციო ფასის მიხედვით ოპტიმალურია ის მეურნეობები, რომლებიც 1 ცენტნერ რძეს 61-80 ლარის ფარგლებში ჰყიდნიან. ამ შემთხვევაში, რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის და რისკის უკუგების დონის სინთეზირებული მაჩვენებლები შეადგენს 0,51 და 1,13, პროპორციულობის კოეფიციენტი კი - 2,22.

დადგინდა, რომ მერძეული მიმართულების ფერმერული მეურნეობების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით სასურველია:

შენარჩუნდეს წარმოების სატეკნოლოგიური არსებული დონე (0,71-0,80-ის ფარგლებში);

წველადობის ამაღლების მიზნით (2000-2200 კგ. ერთ სულზე) გაუმჯობესდეს ფურების ჯიშობრივი შემადგენლობა;

გაუმჯობესდეს კვების რაციონი და მიუახლოვდეს მეცნიერულად დადგენილ ნორმებს.

ქვემოთ წარმოდგენილია პარამეტრული (ციფრობრივი) მონაცემები, ცხრილების სახით.

რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრებისა და უკუგების დონების
სინთეზირებული მაჩვენებლები სხვადასხვა ფაქტორ-პოზიციების მიხედვით
მეზოსტრუქტურის მიმართულების ფერმერულ მეურნეობებში

ცხრილი 7

რისკის განმპირობებელი ფაქტორ-პოზიციები	მეურნეობათა	პარამეტრები	რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის სინთეზირებული მაჩვენებელი (კოეფიციენტი)	რისკის უკუგების დონის სინთეზირებული მაჩვენებელი (კოეფიციენტი)	პროპორციულობის კოეფიციენტი
სპეციალიზაციის კოეფიციენტი	1*	0,21-0,40	0,41	1,53	3,73
	2	0,41-0,60	0,54	1,07	1,98
	3	0,61-1,00	0,51	1,04	2,04
ფართობი (ჰა)	1*	0,1-2,0	0,48	1,26	2,63
	2	2,1-4,0	0,49	1,05	1,54
	3	4,1 და ზევით	0,52	1,03	1,98
მოსავლიანობა ც/ჰა	1	1-100	0,51	1,10	2,16
	2*	101-200	0,45	1,22	2,71
	3	201 და ზევით	0,49	1,18	2,41
1 ცენტნერი პროდუქციის სარეალიზაციო ფასი (ლარი)	1*	15-50	0,45	1,33	2,96
	2	51-100	0,56	0,82	1,41
	3	101 და ზევით	0,54	0,83	1,53

რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრებისა და უკუგების დონების
სინთეზირებული მაჩვენებლები სხვადასხვა ფაქტორ-პოზიციების მიხედვით
მევენახეობის მიმართულების ფერმერულ მეურნეობებში

ცხრილი 8

რისკის განმპირობებელი ფაქტორ-პოზიციები	მეურნეობათა ჯგუფი	პარამეტრები	რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის სინთეზირებული მაჩვენებელი (კოეფიციენტი)	რისკის უკუგების დონის სინთეზირებული მაჩვენებელი (კოეფიციენტი)	პროპორციულობის კოეფიციენტი
სპეციალიზაციის კოეფიციენტი	1	0,20-0,40	0,71	1,50	0,70
	2	0,41-0,60	0,67	0,50	0,75
	3*	0,61 და ზევით	0,62	1,05	1,69

ფართობი (ჰა)	1	0,5-3,0	0,75	0,48	0,64
	2	3,1-10	0,82	0,31	0,38
	3*	10,1 და ზევით	0,37	1,93	5,21
მოსავლიანობა ც/ჰა	1	40-65	0,80	0,29	0,36
	2*	66-100	0,53	1,15	2,17
	3	101 და ზევით	-1,26	-0,20	0,16
I ცენტნერი პროდუქციის სარეალიზაციო ფასი (ლარი)	1	30-50	0,68	0,52	0,76
	2*	51 და ზევით	0,58	1,31	2,26

რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრებისა და უკუკვების დონების სინთეზირებული მაჩვენებლები სხვადასხვა ფაქტორ-პოზიციების მიხედვით მუხილეობის მიმართულების ფერმერულ მეურნეობებში

ცხრილი 9

რისკის განმარტებული ფაქტორ-პოზიციები	მეურნეობათა კატეგორია	პარამეტრები	რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის სინთეზირებული მაჩვენებელი (კოეფიციენტი)	რისკის უკუკვების დონის სინთეზირებული მაჩვენებელი (კოეფიციენტი)	პროპორციულობის კოეფიციენტი
სპეციალიზაციის კოეფიციენტი	1*	0,40-0,60	0,53	1,24	2,34
	2	0,61-1,00	0,57	1,26	2,21
ფართობი (ჰა)	1	1,0-3,0	0,62	1,08	1,74
	2*	3,1-5,0	0,47	1,56	3,32
	3	5,1 და ზევით	0,52	1,06	2,04
მოსავლიანობა ც/ჰა	1	40-60	0,69	0,44	0,64
	2	61-150	0,65	0,74	1,14
	3*	151 და ზევით	0,42	1,92	4,57
I ცენტნერი პროდუქციის სარეალიზაციო ფასი (ლარი)	1	30-40	0,54	1,23	2,28
	2*	41-60	0,26	2,91	11,2
	3	61 და ზევით	0,69	0,44	0,64

რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრებისა და უკუგების დონეების
სინთეზირებული მაჩვენებლები სხვადასხვა ფაქტორ-პოზიციების მიხედვით
მეცენტრულების მიმართულების ფერმერულ მეურნეობებში

ცხრილი 10

რისკის განმპირობებელი ფაქტორ-პოზიციები	მეურნეობათა ჯგუფი	პარამეტრები	რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის სინთეზირებული მაჩვენებელი (კოეფიციენტი)	რისკის უკუგების დონის სინთეზირებული მაჩვენებელი (კოეფიციენტი)	პროპორციულობის კოეფიციენტი
სპეციალიზაციის კოეფიციენტი	1*	0,00-1,00	0,43	2,32	5,39
ფართობი (ჰა)	1 2*	0,1-1,0 1,1-2,0	0,66 0,56	0,58 1,32	0,88 2,36
მოსავლიანობა ც/ჰა	1 2* 3	22-150 151-250 251 ზევით	0,62 0,44 0,72	1,43 1,33 0,39	2,31 3,02 0,54
1 ცენტნერი პროდუქციის სარეალიზაციო ფასი (ლარი)	1 2*	28-30 31 და ზევით	0,66 0,48	0,56 1,07	0,85 2,23

რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრებისა და უკუგების დონეების
სინთეზირებული მაჩვენებლები სხვადასხვა ფაქტორ-პოზიციების მიხედვით
მემარცვლეობის მიმართულების ფერმერულ მეურნეობებში

ცხრილი 11

რისკის განმპირობებელი ფაქტორ-პოზიციები	მეურნეობათა ჯგუფი	პარამეტრები	რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის სინთეზირებული მაჩვენებელი (კოეფიციენტი)	რისკის უკუგების დონის სინთეზირებული მაჩვენებელი (კოეფიციენტი)	პროპორციულობის კოეფიციენტი
სპეციალიზაციის კოეფიციენტი	1 2 3*	0,30-0,50 0,51-0,70 0,71 ზევით	0,59 0,68 0,52	0,75 0,57 1,22	1,27 0,84 2,35
ფართობი (ჰა)	1 2* 3 4	1-20 21-50 51-80 81 ზევით	0,70 0,45 0,64 0,79	0,50 1,23 0,72 0,29	0,71 2,73 1,13 0,37

მოსავლიანობა ც/ჰა	1	1-20	0,85	0,23	0,27
	2	21-30	0,72	0,44	0,61
	3*	31 ზევით	0,51	1,11	2,18
I ცენტნერი პროდუქციის სარეალიზაციო ფასი (ლარი)	1	30-51	0,70	0,54	0,77
	2*	51-60	0,43	1,63	3,79
	3	61 ზევით	0,63	0,58	0,92

რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრებისა და უკუგების დონების
სინთეზირებული მაჩვენებლები სხვადასხვა ფაქტორ-პოზიციების მიხედვით
მეტხოველებების მიმართულების ფერმერულ მეურნეობებში

ცხრილი 12

რისკის განმპირობე- ბელი ფაქტორ- პოზიციები	მეურნეობათა ჯამური	პარამე- ტრები	რისკის მიზანშე- წონილობის ეკო- ნომიკური ზღვ- რის სინთეზირე- ბული მაჩვენებე- ლი (კოეფიციენტი)	რისკის უკუ- გების დონის სინთეზირე- ბული მაჩვე- ნებელი (კოე- ფიციენტი)	პროპორ- ციულობის კოეფიცი- ენტი
სპეციალიზაცი- ის კოეფიცი- ენტი	1	0,30-0,50	0,58	0,88	1,52
	2	0,51-0,70	0,55	0,91	1,65
	3*	0,71 ზევით	0,44	1,28	2,91
შსხეილფენსა რქოსანი პირ- უტყვის სულა- დობა(სული)	1	10-50	0,65	0,66	1,02
	2*	51-100	0,51	1,02	2,00
	3	101 ზევით	0,79	0,31	0,39
ფურების სულადობა (სული)	1	1-30	0,56	0,93	1,66
	2*	31-50	0,45	1,22	2,71
	3	51 ზევით	0,51	0,95	1,86
საშუალო წველადობა ერთ ფურზე (გ)	1	1-1000	0,45	1,22	2,71
	2	1001-	0,58	0,85	1,46
	3*	1500 1501 ზევით	0,46	1,18	2,57
I ცენტნერი პროდუქციის სარეალიზა- ციო ფასი (ლარი)	1	10-60	0,65	0,64	0,98
	2*	61-80	0,51	1,13	2,22
	3	81 ზევით	0,53	0,94	1,77

ამრიგად, გამოკვლევებმა საშუალება მოგვცა საქართველოს პირობებში პირველად
დაგვედინა სამეურნეო რისკის მიზანშეწონილობისა და ეკონომიკური უკუგების დონის
სინთეზირებული-ოპტიმიზირებული პარამეტრები, სხვადასხვა საწარმოო მიმართულების
ფერმერული მეურნეობებისათვის, არსებით ფაქტორ-პოზიციათა შესაბამისად, რაც უნდა
მივიჩნიოთ პრაქტიკული (გამოყენებითი) ხასიათის სტრატეგიულ, მეცნიერულ რეკო-
მენდაციებად, რომელიც საწარმოო და ეკონომიკურ-ორგანიზაციული პირობების ცვლი-
ლებისდაკავალად, ეტაპობრივად უნდა კორექტირდებოდეს და სრულყოფილი ზდებოდეს.

საქართველოს
ჯანდაცვის
მინისტრო

Risk Reasonability synthesized Economic Parameters and Proportion Coefficient

Omar Keshelashvili

Doctor of Economic Sciences, Professor, Academician
of Georgian Academy of Agricultural Sciences,
Chairman of Scientific Board of
Agrarian Economic Institute – Scientific Director of the Institute

M. Mechurchlishvili

Candidate of Economic Sciences

E. Dzagania

Candidate of Economic Sciences

N. Damenia

Academic Doctor

N. Keshelashvili

Abstract

(Internet Version)

The article shows a new way of economic risk and its reasonability. It was found that risk in agriculture does not involve only one or two factors, but is the request of the whole complex of economic-organizational activities. Risk is connected not only with economic-organizational, but also economic-technological, psychological, legal and other aspects. According to this view we tried to connect risk factors with each other, in particular economic-organizational, economic-technological, financial-credit and marketing factor-positions. For this we used such parameters as risk reasonability and output synthesized parameters, which are optimized, balanced, index type characteristics. It reveals and explains all factors terms connected with economic threshold of risk reasonability and the level of effectiveness. These Altogether gives possibility to estimate risk factors and results.

On the base of analysis it is determined that as lower economic threshold of risk reasonability and higher output level is a reasonable to take into account different risk positions. Proportional relationship between economic threshold of risk reasonability and risk output level was found.

The research has permitted to determine the first time economic risk reasonability and economic output level at the example of Georgia.

The research should be taken into consideration as practical useful strategic scientific recommendations, which should be improved and perfected gradually.

ომარ ქეშელაშვილი

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი,
ჯამბულეთ ბაქურაშვილი

ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი,

რეფერატი

(ინტენტიული ვერსია)

რისკის ცნება მეცნიერების ბევრ დარგში გამოიყენება. სამართალი რისკს განიხილავს მის მართლზომიერებასთან დაკავშირებით. კატატროფების თეორია ამ ტერმინს იყენებს ავარიებთან და სტიქიურ უბედურებებთან დაკავშირებით. რისკის ანალიზის გამოკვლევები გეგმდება ფსიქოლოგიურ, სამედიცინო და სხვა სახის ლიტერატურაში; თითოეულ მათგანში რისკის შესწავლა დაფუძნებულია მოცემული მეცნიერების გამოკვლევის საფაზე და, ბუნებრივია, ეყრდნობა საკუთარ მიდგომებს და მეთოდებს. რისკის გამოკვლევის მიმართულუბების ასეთი მრავალფეროვნება განპირობებულია ამ მოვლენის მრავალსაქებურობით.

კატეგორია “რისკი” შეიძლება განისაზღვროს როგორც პოტენციურად შესაძლებელი, რესურსების მოსალოდნელი (ალბათური) დაკარგვის ან შემოსავლების მიუღებლობის საფრთხე ამ ვარიანტთან შედარებით, რომელიც გათვლილია რესურსების რაციონალურ გამოყენებაზე სამეწარმეო საქმიანობის მოცემულ სფეროში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რისკი არის იმის სამიზნობა, რომ მეწარმე განიცდის დანაკარგებს დამატებითი დანახარჯების სახით ან მიიღებს ნაგარაუდევზე ნაკლებ შემოსავალს.

ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოყოფენ რისკის შემდეგ ფუნქციებს: საინოვაციო, სარეგულაციო, დაცვითი და ანალიზური.

სამეწარმეო (სამეურნეო) რისკის წყაროების მიხედვით გამოიყოფა საწარმოო, საფინანსო, საბაზრო, სამართლებრივი რისკები, დამკველების რისკი, სტიქიური უბედურებების რისკი, რისკის ადამიანისეული ფაქტორი; წარმოშობის დროის მიხედვით რისკები შეიძლება დაყოფილი იქნას წარსულის, მიმდინარე და მომავლის რისკებად; მოქმედების სფეროს მიხედვით – შინაგან და საგარეო რისკებად; გამოვლენის ობიექტურობის მიხედვით – ობიექტურ და სუბიექტურ რისკებად; რისკის ხარისხის რეგულირების შესაძლებლობების მიხედვით განარჩევენ მართვად და უმართავ რისკებს.

სამეწარმეო რისკის მართვა უნდა ხდებოდეს ეტაპობრივად, რომელთა შორის მთავარია: რისკის ანალიზი, რისკის კონტროლი, რისკის დაფინანსება.

რისკის (ინდივიდუალურის და სოციალურის) მნიშვნელობის მთელი სპექტრი ე.წ. “შუქნიშის” პრინციპის შესაბამისად დაყოფილია სამ არეად:

- დაუსმეველი (გადაჭარბებული) რისკის არე – “ფიტილი” არეალი;
- მისაღები რისკის არე – “ყვიტილი” არეალი;
- უგულველყოფადი რისკის არე – “მშპანში” არეალი.

თუ რისკის შეფასებისას დადგინდა, რომ მისი სიდიდე იმყოფება “დაუსმეველი” რისკის ზონაში, მაშინ საწარმოს მეპატრონეებმა უნდა მიიღონ სერიოზული ზომები რისკის მისაღებ დონემდე შესამცირებლად.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა (ფერმერული მეურნეობების) რისკის მართვის ტექნიკის ჩამოყალიბების პირველ ეტაპს წარმოადგენს რისკ-მენეჯმენტის ჯგუფის (სამსახურის) შექმნა. საქართველოს აგრარული სექტორის განვითარების დღევანდელ ეტაპზე ამ სტრუქტურის მიზანს უნდა წარმოადგენდეს ფერმერული მეურნეობების დანაკარგების მინიმიზაცია მათი საქმიანობის მონიტორინგის, რისკ-მართვის ტექნიკის მთლიანი

კომპლექსის ანალიზის, რისკის შემცირების რეკომენდაციების შემუშავების და შესრულების კონტროლის მეშვეობით.

ნატარებული კვლევებისა და შესწავლილი ფერმერული მეურნეობების მონაცემების განზოგადების საფუძველზე შეიძლება დავასწავლოთ, რომ საქართველოს ფერმერულ მეურნეობებში რისკის მართვის მექანიზმს უნდა ჰქონდეს მკაფიო იერარქიული სტრუქტურა რისკის უარყოფითი ზემოქმედების შესამცირებლად დასახულ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად მისი შესაძლო კორექტირების მიზნით.

ნაშრომი შესრულდა სახელმწიფო საგრანტო პროექტის „რისკის მართვა ფერმერულ მეურნეობებში“ ფარგლებში. „ალიშული პროექტი განხორციელდა სსიპ-ქართველოლოგის, პუბლიცისტური და სოციალური მეცნიერებების ფონდში (რუსთაველის ფონდი) მოპოვებული გრანტის მეშვეობით (გრანტის № 020-08; კოდი: 07-15-2-610). წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი აზრი ეკუთვნის ავტორებს და შესაძლოა არ ასახავდეს სსიპ-ქართველოლოგის, პუბლიცისტური და სოციალური მეცნიერებების ფონდის (რუსთაველის ფონდი) შეხედულებებს.

ფერმერული მეურნეობის წარმატებული გაძლიერება თანამედროვე რთულ და ცვალებად პირობებში მოითხოვს რისკისა და განუსაზღვრელობისადმი დაპირისპირებას და შესაბამისი ზომების მიღებას. გარემოების მუდმივი ცვლილებები, რომელშიც იმყოფება ფერმერული მეურნეობა, ფერმერებისგან მოითხოვს ამ ცვლილებებთან დაკავშირებული რისკის აწონ-დაწონას.

მეურნეობის გაძლიერების ფერმერმა არ იცის და არც შეიძლება იცოდეს, თუ რა მოხდება მომავალში. მას გადაწყვეტილებების მიღება უხდება განუსაზღვრელობის პირობებში, ხოლო რისკი კი ჩვეულებრივ წარმოადგენს ასეთი მოქმედებების შედეგად არახელსაყრელი რეზულტატების დადგომის შესაძლებლობას ან ალბათობას.

სამეწარმეო საქმიანობას საერთოდ ახასიათებს სარისკო ნაბიჯები, თუმცა მეწარმეს (ჩვენ შემთხვევაში ფერმერს) უნდა ახსოვდეს, რომ კარგი გადაწყვეტილება ავტომატურად არ იძლევა კარგი შედეგის გარანტიას. კარგი გადაწყვეტილება მხოლოდ და მხოლოდ არ ეწინააღმდეგება არსებულ ინფორმაციას შესაძლო რისკზე და დასახულ მიზნებზე. მიუხედავად ამისა, აუცილებელია ფერმერი ფლობდეს რისკის მართვის უნარებს, შეეძლოს გადაწყვეტილებების მიღება რისკისა და განუსაზღვრელობის პირობებში.

რისკის განსაზღვრა

რისკის ცნება მეცნიერების ბევრ დარგში გამოიყენება. სამართალი რისკს განიხილავს მის მართლზომიერებასთან დაკავშირებით. კატატროფების თეორია ამ ტერმინს იყენებს ავარიებთან და სტიქიურ უბედურებებთან დაკავშირებით. რისკის ანალიზის გამოკვლევები გვხვდება ფსიქოლოგიურ, სამედიცინო და სხვა სახის ლიტერატურაში; თითოეულ მათგანში რისკის შესწავლა დაფუძნებულია მოცემული მეცნიერების გამოკვლევის საგანზე და, ბუნებრივია, ეფრდნობა საკუთარ მიდგომებს და მეთოდებს. რისკის გამოკვლევის მიმართულებების ასეთი მრავალფეროვნება გააბრბებულია ამ მოვლენის მრავალასპექტურობით.

სამამულეო ეკონომიკურ ლიტერატურაში პრაქტიკულად არ არსებობს საყოფელთაოდ მიღებული თეორიული დებულებები სამეწარმეო (სამეურნეო) რისკის შესახებ, არ არის დამუშავებული რისკის შეფასების მეთოდები ამა თუ იმ საწარმოო სიტუაციების ან სამეწარმეო საქმიანობის სახეების მიმართ, არ არსებობს რეკომენდაციები რისკის შემცირების და აცილების გზების და მეთოდების შესახებ. ამ მხრივ სრულიად სპირისპირო სურათია განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში (აშშ,

ფორკეშირი და სხვ.); გარკვეული წინსვლა შეინიშნება დსთ-ის რიგ ქვეყნებში, განსაკუთრებით რუსეთში.

რისკის ცნების განმარტებისას აუცილებელია გამოვავლინოთ განსხვავება გაურკვევლობასა და საკუთრივ რისკს შორის. გაურკვევლობაზე მაშინ ლაპარაკობენ, როცა შეუძლებელია დანამდვილებით ვიწინასწარმეტყველოთ, თუ რა მოხდება მომავალში. რისკი არა უბრალოდ გაურკვევლობაა, არამედ ისეთი, რომელიც გათვალისწინებული უნდა იქნეს ამა თუ იმ მოქმედების განხორციელებისას, რადგან მან შეიძლება გავლენა მოახდინოს ადამიანების კეთილდღეობაზე. ამრიგად, გაურკვევლობა არის რისკის აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობა. ყოველი სარისკო სიტუაცია გაურკვეველია, თუმცა გაურკვევლობა რისკის გარეშეც შეიძლება არსებობდეს.¹

რისკის მრავალრიცხოვანი განმარტებების [1, 2, 5, 7] ანალიზი საშულებას იძლევა გამოვყოთ ის ძირითადი მომენტები, რომლებიც ახასიათებენ სარისკო სიტუაციას:

მოვლენის (ხდომილების), რომელიც განსაზღვრავს, თუ რომელი შესაძლო შედეგი რეალიზდება პრაქტიკაში, შემთხვევითი ხასიათი;

ალტერნატიულ გადაწყვეტილებათა არსებობა;

ცნობილია ან შეიძლება განისაზღვროს შედეგების ალბათობა და მოსალოდნელი რეზულტატები;

დანაკარგების წარმოქმნის ალბათობა;

დამატებითი მოგების მიღების ალბათობა.

ამრიგად, კატეგორია “რისკი” შეიძლება განისაზღვროს როგორც პოტენციურად შესაძლებელი, რესურსების მოსალოდნელი (ალბათური) დაკარგვის ან შემოსავლების მიუღებლობის საფრთხე იმ ვარიანტთან შედარებით, რომელიც გათვლილია რესურსების რაციონალურ გამოყენებაზე სამეწარმეო საქმიანობის მოცუბულ სფეროში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რისკი არის იმის საშიშროება, რომ მეწარმე განიცდის დანაკარგებს დამატებითი დანახარჯების სახით ან მიიღებს ნავარაუდევზე ნაკლებ შემოსავალს.

თუმცა რისკის შედეგები უმეტეს შემთხვევებში ვლინდება საფინანსო დანაკარგების სახით ან მოსალოდნელი მოგების მიღების შეუძლებლობით, რისკი მხოლოდ უარყოფითი თვისებებით არ ხასიათდება. სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების გარკვეული ვარიანტებისას შესაძლებელია არა მარტო მიღწეული იქნეს დასახული შედეგი, არამედ არსებობს მოსალოდნელი მოგების გადაჭარბების ალბათობა. სწორედ ამამა სამეწარმეო (სამეურნეო) რისკის არსი, რომელიც ხასიათდება დაგეგმილი რეზულტატებისგან როგორც არასასურველი, ისე ხელსაყრელი გადახრების შეხამებით. ამრიგად, სამეწარმეო რისკი წარმოადგენს ისეთ რისკს, რომელიც წარმოიქმნება ნებისმიერი სახის სამეწარმეო საქმიანობისას, როგორცაა პროდუქციის, საქონლების და მომსახურების წარმოება, მათი რეალიზაცია; საფინანსო და საკრედიტო-ფულადი ოპერაციები; კომერცია და ა.შ.

2. სამეწარმეო რისკის ფუნქციები

ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოყოფენ რისკის შემდეგ ფუნქციებს: საინოვაციო, სარეგულაციო, დაცვითი და ანალიზური.

¹ ფორმალურად რისკი წარმოადგენს ცოდნის მდგომარეობას, როდესაც ცნობილია თითოეული ალტერნატივის ერთი ან რამოდენიმე შედეგი და როდესაც თითოეული შედეგის რეალიზაციის ალბათობა დანამდვილებით ცნობილია გადაწყვეტილების მიმღები პირისთვის.



საინოვაციო ფუნქციას სამეწარმეო რისკი ასრულებს მეწარმის წინაშე არსებული პრობლემების არატრადიციული მეთოდებით გაჭრის გზების ძიების სტიმულირებით. განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების სათანადო ლიტერატურის ანალიზი ადასტურებს, რომ საერთაშორისო სამეურნეო პრაქტიკაში დაგროვდა საინოვაციო სარისკო მეურნეობრიობის დადებითი გამოცდილება. ფირმების, კომპანიების უმრავლესობა წარმატებას აღწევს, კონკურენტუნარიანი ხდება რისკთან დაკავშირებული საინოვაციო ეკონომიკური საქმიანობის საფუძველზე. სარისკო გადაწყვეტილებებს, მეურნეობრიობის სარისკო ტიპს მიყვავართ უფრო ეფექტურ წარმოებასთან, რითაც მოგებული რჩება როგორც მეწარმეები, ისე მომხმარებლები და მთლიანად საზოგადოება.

სარეგულაციო ფუნქცია წინააღმდეგობრივი ხასიათისაა და ორი ფორმით ვლინდება: კონსტრუქციული და დესტრუქციული. მეწარმის რისკი, როგორც წესი, ორიენტირებულია არატრადიციული მეთოდებით ნიშნადი შედეგების მიღებაზე. ამით იგი საშუალებას იძლევა გადაიღახოს კონსერვატიზმი, დოგმატიზმი, ფსიქოლოგიური ბარიერები, რომლებიც ხელს უშლიან პერსპექტიულ სიახლეებს. ამაში ვლინდება სამეწარმეო რისკის სარეგულაციო ფუნქციის კონსტრუქციული ფორმა. მაგრამ რისკი შეიძლება იქცეს ავანტურნიზმის, სუბიექტივიზმის გამოვლინებად, თუ კი გადაწყვეტილებების მიღება ხდება არასრული ინფორმაციის პირობებში, მოვლენის განვითარების კანონზომიერების არასაკმარისი გათვალისწინებით. ამ შემთხვევაში რისკი წარმოადგენს მადესტაბილიზებელ ფაქტორს, გვევლინება როგორც სამეწარმეო რისკის სარეგულაციო ფუნქციის დესტრუქციული ფორმა.

რისკის დაცვითი ფუნქცია იმაში ვლინდება, რომ, თუ კი მეწარმისთვის რისკი ბუნებრივი მდგომარეობაა, მაშინ ნორმალური უნდა იყოს მოსათმენი დამოკიდებულება შესაძლო წარუმატებლობასთან. რისკზე წასვლისას მეწარმე დარწმუნებული უნდა იყოს, რომ შესაძლო შეცდომა არ მოახდენს მისი საქმიანობის კომპრომეტაციას და არ შელახავს მის საქმიან იმიჯს. შეცდომის აღბათობა უნდა განიხილებოდეს როგორც მეწარმის დამოუკიდებლობის განუყრელი ატრიბუტი და არა როგორც მისი პროფესიული უსუსურობის შედეგი. აქ იგულისხმება შეცდომა, რომელიც გვევლინება ასეთად გათვლილი, მაგრამ არ გამართლებული რისკის შედეგად.

რისკის ანალიზური ფუნქცია იმასთან არის დაკავშირებული, რომ რისკის არსებობა გულისხმობს გადაწყვეტილებების ერთ-ერთი ვარიანტის არჩევას, რასთანაც დაკავშირებით, მეწარმე გადაწყვეტილების მიღების პროცესში აანალიზებს ყველა შესაძლო ალტერნატივას, ირჩევს რა ყველაზე უფრო რენტაბელურ და ყველაზე ნაკლებად სარისკო გადაწყვეტილებას. სარისკო სიტუაციის კონკრეტული შინაარსიდან გამომდინარე, ალტერნატიულობა ხასიათდება სირთულის სხვადასხვა ხარისხით და მისი გადაჭრის სხვადასხვა ხერხით.

სამეწარმეო რისკის ფუნქციების განხილვისას კიდევ ერთხელ ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ მიუხედავად რისკისთვის დამახასიათებელი დანაკარგების მნიშვნელოვანი პოტენციალისა, იგი წარმოადგენს შესაძლო მოგების წყაროსაც. ამიტომ მეწარმის მთავარი ამოცანაა არა საერთოდ რისკისთვის თავის არიდება, არამედ რისკთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღება ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე, სახელდობრ, თუ რა ფარგლებში უნდა იმოქმედოს მან გარისკვის დროს.

3. სამეწარმეო რისკის კლასიფიკაცია

სამეწარმეო რისკების კლასიფიკაციის სირთულე გამოწვეულია მათი მრავალფეროვნებით. სამეწარმეო ფირმებს ყოველთვის აქვთ შეხება რისკთან როგორც მიმდინარე, ისე გრძელვადიანი ამოცანების გადაჭრისას. არსებობს რისკის განსაზღვრული

სახეები, რომელთა ზემოქმედებას ექვემდებარება ყველა სამეწარმეო ორგანიზაცია, მაგრამ, ამავე დროს, რისკის საერთო სახეებთან ერთად არსებობს მისი სპეციფიკური სახეები, რომლებიც დამახასიათებელია მხოლოდ გარკვეული სახის საქმიანობისათვის. ასე, მაგალითად, საბანკო რისკები განსხვავდება სადაზღვევო რისკებისგან, ხოლო ეს უკანასკნელი თავის მხრივ – რისკებისგან საწარმოო მეწარმეობაში.

რისკების სახეობრივი მრავალფეროვნება მათ ფართო სპექტრს მოიცავს: ხანძრებიდან და სტიქიური უბედურებებიდან საერთაშორისო კონფლიქტებამდე, სამეწარმეო საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობის ცვლილებებიდან ინფლაციურ რყევებამდე.

გარდა ამისა, თანამედროვე მსოფლიოს ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარება წარმოშობს რისკის ახალ სახეებს, რომელთა განსაზღვრა და რაოდენობრივი შეფასება საკმაოდ რთულია. გლობალიზაცია და ბიზნესის ტრანსნაციონალიზაცია ხასიათდება რთული საფინანსო და საწარმოო ურთიერთობების შექმნით. წარმოშობა ეწ. “დომინოს ეფექტი”, რომელიც ერთი კომპანიის კრახის შემთხვევაში იწვევს მასთან დაკავშირებული კომპანიების გაკოტრებას. სამეწარმეო ორგანიზაციების სამეურნეო საქმიანობის კომპიუტერიზაციის გაღრმავებას თან სდევს კომპიუტერული სისტემების მოშლასთან დაკავშირებული შესაძლო დანაკარგების საფრთხე და ა.შ.

მეწარმეობის საკითხებისადმი მიძღვნილ ეკონომიკურ ლიტერატურაში არ მოიხილება სამეწარმეო რისკის კლასიფიკაციის მწყობრი სისტემა. არსებობს რისკების კლასიფიკაციისადმი სხვადასხვა მიდგომა. ერთ-ერთი მათგანის მიხედვით, გამოიყოფა ორი სახის რისკი: წარმოების ტექნიკურ ჩავარდნასთან დაკავშირებული რისკი (მასვე განეკუთვნება სტიქიური უბედურებებით გამოწვეული დანაკარგები) და კომერციულ წარუმატებლობებთან დაკავშირებული რისკი. მიდგომით განარჩევენ სამეწარმეო რისკის სამ სახეს: ინფლაციურს, საფინანსოს და საოპერაციოს. არსებობს სამეწარმეო რისკების კლასიფიკაციისადმი სხვა მიდგომებიც, მაგრამ ისინი, როგორც წესი, იმორჩებიან ზემოთ მოყვანილს. ამავე დროს, რისკის ჩამოთვლილი სახეები არასრულად ასახავენ მის მრავალფეროვნებას, ამიტომ აუცილებელია პირველ რიგში გამოიყოს რისკების ტიპები და დაჯგუფდეს ისინი გარკვეული ნიშნების მიხედვით.

რისკთან მეწარმეს შეხება აქვს თავისი საქმიანობის სხვადასხვა ეტაპებზე და, ამიტომ, ბუნებრივია, კონკრეტული სარისკო სიტუაციის წარმოშობის მრავალი მიზეზი შეიძლება არსებობდეს. ჩვეულებრივ, სარისკო სიტუაციის წარმოშობის მიზეზად გულისხმობენ რაღაც პირობას, რომელიც იწვევს გაურკვევლობას სიტუაციის შედეგში (?) ამ გაურკვევლობის წყაროებია: უშუალოდ სამეურნეო საქმიანობა, თვითონ მეწარმის საქმიანობა, სამეწარმეო საქმიანობის შედეგებზე გამკლენი გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის უკმარობა. აქედან გამომდინარე, არჩევენ:

- სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებულ რისკს;
- მეწარმის პიროვნებასთან დაკავშირებულ რისკს;
- გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის უკმარობასთან დაკავშირებულ რისკს.

იმასთან დაკავშირებით, რომ უკანასკნელი რისკის წარმოშობის ალბათობა უკუპროპორციულია იმასა, თუ რამდენად არის სამეწარმეო ფირმა ინფორმირებული მის მიმართ გარემოს მდგომარეობის შესახებ, ეს რისკი ყველაზე მნიშვნელოვანია მეურნეობრიობის თანამედროვე პირობებში. პარტნიორების შესახებ ინფორმაციის უკმარობა, განსაკუთრებით მათი საქმიანი იმიჯისა და საფინანსო მდგომარეობის შესახებ, მეწარმეს რისკის წარმოშობით ემუქრება. საქართველოში ან საზღვარგარეთელი პარტნიორის ქვეყანაში საგადასახადო სისტემის შესახებ ინფორმაციის უკმარობა წარმოადგენს დანაკარგების წყაროს სამეწარმეო ფირმისათვის სახელმწიფო ორგა-



ნოების მიერ საჯარო საწესდების დაცისრების შედეგად. კონკურენტების შესახებ ინფორმაციის უკმარობა ასავე შეიძლება იქცეს დანაკარგების წყაროდ მეწარმისათვის.

მეწარმის პიროვნებასთან დაკავშირებული რისკი იმით განისაზღვრება, რომ მეწარმეებს გააჩნიათ განსხვავებული ცოდნა მეწარმეობის სფეროში, სამეწარმეო საქმიანობის გაძღოლის განსხვავებული ჩვევები და გამოცდილება, ცალკეული გარიგებების რისკიანობის მიმართ განსხვავებული მოთხოვნები და მიდგომები.

წარმოშობის სფეროს მიხედვით სამეწარმეო რისკები შეიძლება დაეყოს საგარეო და შინაგანად. საგარეო რისკებს წარმოშობის წყაროს წარმოადგენს სამეწარმეო ფირმის მიმართ არსებული გარეშე გარემო. მეწარმეს არ შეუძლია რაიმე გავლენა იქონიოს მასზე, მას მხოლოდ შეუძლია განჭვრიტოს და გაითვალისწინოს იგი თავის საქმიანობაში.

ამრიგად, საგარეოს განეკუთვნება რისკები, რომლებიც უშუალოდ არ უკავშირდებიან მეწარმის საქმიანობას. ლაპარაკია სამეწარმეო საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობის გაუთვალისწინებელ ცვლილებებზე, ქვეყანაში პოლიტიკური რეჟიმის არამდგრადობაზე და სხვა სიტუაციებზე, ხოლო შესაბამისად მეწარმეთა დანაკარგებზე, რომლებიც წარმოიშობა ნაციონალიზაციის, გაფიცვების, ემბარგოს შემოღების და სხვა ანალოგიური მოვლენების შედეგად.

შინაგანი რისკების წყაროს უშუალოდ სამეწარმეო ფირმა წარმოადგენს. ეს რისკები წარმოიშობა არაფექტური მენეჯმენტის, მცდარი მარკეტინგული პოლიტიკის შემთხვევებში, აგრეთვე შიდასაფირმო დანაშაულებების შედეგად. შინაგან რისკებს შორის ძირითადია საკადრო რისკები, რომლებიც დაკავშირებულია სამეწარმეო ფირმის თანამშრომელთა პროფესიულ დონესთან და ხასიათის თვისებებთან.

მეურნეობრიობის თანამედროვე პირობებში გადაწყვეტილებათა მიღების დონის მიხედვით გამოყოფენ სამეწარმეო რისკის ორ ტიპს: მაკროეკონომიკურ (გლობალურ) რისკს და რისკს ცალკეული ფირმების დონეზე (ლოკალურს). გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლომდე ყოფილ საბჭოთა კავშირში რისკის უდიდესი წილი მოდიოდა გლობალურ დონეზე-სახელმწიფოს დონეზე. საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო პერიოდში და მის შემდგომ ახალ დამოუკიდებელ ქვეყნებში დამოუკიდებელი სამეურნეო სუბიექტების წარმოშობის შედეგად სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა, ამჟამად რისკის უდიდესი ნაწილი ეკისრება სამეწარმეო ორგანიზაციებს. დამოუკიდებლად ახორციელებენ რა თავიანთ ინვესტიციებს და საინოვაციო საქმიანობის მიმართულებებს, აფორმებენ ხელშეკრულებებს მომხმარებლებთან და მომწოდებლებთან, ისინი მთლიანად იღებენ თავიანთ თავზე ამ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებულ სამეწარმეო რისკს.

დროში ხანგრძლიობის მიხედვით სამეწარმეო რისკები შეიძლება დაიყოს მოკლევადიან და მუდმივ რისკებად. მოკლევადის განეკუთვნება ის რისკები, რომლებიც ემუქრება მეწარმეს დროის გარკვეული ცნობილი მონაკვეთის განმავლობაში, მაგალითად სატრანსპორტო რისკი, როდესაც დანაკარგები შეიძლება წარმოიშვას ტვირთის ტრანსპორტირებისას, ან კონკრეტული გარიგების გადაუხდელობის რისკი. მუდმივს განეკუთვნება ის რისკები, რომლებიც უწყვეტ საფრთხეს უქმნიან სამეწარმეო საქმიანობას მოცემულ გეოგრაფიულ რაიონში ან ეკონომიკის გარკვეულ დარგში, მაგალითად, გადაუხდელობის რისკი არასრულყოფილი სამართლებრივი სისტემის ქვეყანაში ან შენობათა ნგრევის რისკი გაზრდილი სეისმური საფრთხის რაიონში.

ვინაიდან მეწარმის მთავარი ამოცანაა გარისკოს ანგარიშთანად, არ გადაღახოს ის მოჯნა, რომელსაც შეიძლება ფირმის გაკოტრება მოჰყვეს, გამოყოფენ დასაშვებ კრიტიკულ და კატასტროფულ რისკებს.

დასაშვები რისკი არის მოგების სრული დაკარგვის საფრთხე ამა თუ იმ პროექტის რეალიზაციის ან საერთოდ სამეწარმეო საქმიანობის შედეგად. ამ შემ-

თხვევაში დანაკარგები შესაძლებელია, მაგრამ მათი სიდიდე ნაკლებია მოსალოდნელ სამეწარმეო მოგებაზე. ამრიგად, სამეწარმეო საქმიანობის ეს სახე ან კონკრეტული გარიგება, რისკის მოუხედავად ინარჩუნებს ეკონომიკურ მიზანშეწონილებას.

რისკის შემდეგი სახე, უფრო სახიფათო დასაშვებთან შედარებით, არის კრიტიკული რისკი. ეს რისკი დაკავშირებულია მოცემული სახის სამეწარმეო საქმიანობის განზოციელებასთან ან კონკრეტულ გარიგებასთან დაკავშირებული დანახარჯების სიდიდის დანაკარგების საფრთხესთან. ამასთან, პირველი ხარისხის კრიტიკული რისკი დაკავშირებულია ნულოვანი შემოსავლის მიღების საფრთხესთან მეწარმის მიერ განზოციელებული მატერიალური დანახარჯების ანაზღაურების პირობებში. მეორე ხარისხის კრიტიკული რისკი დაკავშირებულია მოცემული სამეწარმეო საქმიანობის განზოციელების შედეგად მთელი დანახარჯების დაკარგვის საფრთხესთან, ანუ არსებობს დასახული მოგების დაკარგვის ალბათობა და დანახარჯების ანაზღაურება მეწარმეს თავის ხარჯზე მოუწევს.

კატასტროფული ეწოდება რისკს, რომელიც ხასიათდება მეწარმის მთელი ქონებრივი მდგომარეობის ან მასზე მეტი რაოდენობის დანაკარგების საფრთხით. კატასტროფულ რისკს, როგორც წესი, მიყვარათ სამეწარმეო ფირმის გაკოტრებამდე, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში შესაძლებელია არა მარტო გარკვეულ საქმიანობაში ან კონკრეტულ გარიგებაში მეწარმის მიერ დაბანდებული სახსრების დაკარგვა, არამედ მისი ქონებისაც. ეს შემთხვევა დამახასიათებელია იმ სიტუაციისათვის, როდესაც მოსალოდნელი მოგების მისაღებად სამეწარმეო ფირმა იღებს სესხებს; კატასტროფული რისკის წარმოშობისას მეწარმე იძულებულია პირადი სახსრებით დაფაროს კრედიტი.

სამეწარმეო რისკის მართლზომიერების ხარისხის მიხედვით გამოიყოფა: გამართლებული (მართლზომიერი) და გაუმართლებელი (არამართლზომიერი) რისკები. თვლება, რომ ეს სამეწარმეო რისკის კლასიფიკაციის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტია, რომელსაც დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია. გამართლებული და გაუმართლებელი სამეწარმეო რისკის გამიჯვნისათვის პირველ რიგში უნდა გათვალისწინებული იქნეს ის გარემოება, რომ საზღვარი მათ შორის სამეწარმეო საქმიანობის სხვადასხვა სახეებში, ეკონომიკის სხვადასხვა სექტორებში განსხვავებულია. ასე, მაგალითად, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის სფეროში უარყოფითი შედეგის მიღების დასაშვები ალბათობა ფუნდამენტურ გამოკვლევათა სტადიაზე შეადგენს 5-10%, გამოყენებითი სამეცნიერო დამუშავებების სტადიაზე—80-90%, საბრუნველ-საკონსტრუქციო დამუშავებების სტადიაზე—90-95%. ცხადია, საქმიანობის მოცემული სფერო გამოირჩევა რისკის მაღალი დონით. ამასთან, არსებობს ცალკეული დარგები, მაგალითად, ატომური ენერგეტიკა, სადაც რისკის შესაძლებლობა საერთოდ არ დაიშვება.

ყველა სამეწარმეო რისკი დაზღვევის შესაძლებლობის შესაბამისად შეიძლება დაიყოს ორ დიდ ჯგუფად: დაზღვევადები და დაუზღვევადები. მეწარმეს შეუძლია ნაწილობრივ გადაიტანოს რისკი ეკონომიკის სხვა სუბიექტებზე, კერძოდ, უზრუნველყოს თავისი უსაფრთხოება, როდესაც გაიღებს გარკვეულ დანახარჯებს სადაზღვევო შენატანების სახით. ამრიგად, მეწარმეს შეუძლია დააზღვიოს რისკის ზოგიერთი სახე, მაგალითად, ქონების განადგურების რისკი, ხანძრის გაჩენის რისკი, ფარების რისკი და სხვა.

სადაზღვევო რისკი წარმოადგენს ალბათურ მოვლენას ან მოვლენათა ერთობლიობას, რომელთა დადგომის შემთხვევაში ხდება დაზღვევა. საფრთხის წყაროსგან გამოდინარე, სადაზღვევო რისკები იყოფა ორ ჯგუფად:

- ბუნების სტიქიური ძლების გამოვლინებასთან დაკავშირებული რისკები (კლიმატური პირობები, მიწისძვრები, წყალდიდობები და სხვა);

- ადამიანის მიზანდასახულ საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები, რისკებს, რომელთა დაზღვევა მიზანშეწონილია, განეკუთვნება;
- ხანძრების და სხვა სტიქიური უბედურებების შედეგად მოსალოდნელი დანაკარგები;
- საავტომობილო ავარიების შედეგად მოსალოდნელი დანაკარგები;
- ტრანსპორტირების დროს პროდუქციის დაზიანების ან განადგურების შედეგად მოსალოდნელი დანაკარგები;
- ფირმის თანამშრომელთა შეცდომების შედეგად მოსალოდნელი დანაკარგები;
- ფირმის თანამშრომელთა მიერ კონკურენტებისათვის კომერციული ინფორმაციის გადაცემის შედეგად მოსალოდნელი დანაკარგები;
- ქვემოიჯარების მიერ ვალდებულებების შეუსრულობლების შედეგად მოსალოდნელი დანაკარგები;
- ფირმის საქმიანი აქტიურობის შეჩერების შედეგად მოსალოდნელი დანაკარგები;
- ფირმის ხელმძღვანელის ან წამყვანი თანამშრომლის გარდაცვალების ან ავადმყოფობის შედეგად მოსალოდნელი დანაკარგები;
- ფირმის თანამშრომელთა გარდაცვალების ან ავადმყოფობის შედეგად მოსალოდნელი დანაკარგები.

გარდა ამისა, არსებობს რისკების ისეთი ჯგუფი, რომლის დაზღვევას არ კისრულობენ სადაზღვევო კომპანიები, მაგრამ, ამავე დროს, დაუზღვევადი რისკის თავის თავზე ატობს წარმოადგენს მეწარმის მოგების პოტენციურ წყაროს. მაგრამ, თუ კი დაზღვეული რისკის დანაკარგები იფარება სადაზღვევო კომპანიების გადახდების ხარჯზე, დაუზღვევადი რისკის დანაკარგების ანაზღაურება ხდება სამეწარმეო ფირმის საკუთარი სახსრებიდან. რისკის დაფარვის ძირითად შიდა წყაროს წარმოადგენს ფირმის საკუთარი კაპიტალი, აგრეთვე სპეციალურად შექმნილი სარეზერვო ფონდები.

უნდა გამოიყოს კიდევ რისკების ორი დიდი ჯგუფი: სტატისტიკური (უბრალო) და დინამიკური (საეკულაციური). სტატისტიკური რისკების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მათ ყოველთვის მოაქვთ დანაკარგები სამეწარმეო საქმიანობისათვის. ამასთან, დანაკარგები სამეწარმეო ფირმისათვის, როგორც წესი, წარმოადგენს დანაკარგებს მთლიანად საზოგადოებისათვის.

დანაკარგების მიზეზების შესაბამისად სტატისტიკური რისკები იყოფა შემდეგ ჯგუფებად:

- ფირმის აქტივებზე სტიქიური უბედურებების ნეგატიური ზემოქმედების შედეგად მოსალოდნელი დანაკარგები;
- დანაშაულებრივი ქმედებების შედეგად მოსალოდნელი დანაკარგები;
- სამეწარმეო ფირმისთვის არახელსაყრელი კანონმდებლობის მიღების შედეგად მოსალოდნელი დანაკარგები (დანაკარგები დაკავშირებულია საკუთრების პირდაპირ ჩამორთმევასთან ან არასრულყოფილი კანონმდებლობის გამო ბრალეულისგან ანაზღაურების მიღების შეუძლებლობასთან);
- მესმე პირთა საკუთრებისადმი საფრთხის (რასაც თან სდევს ძირითადი მომწოდებლის ან მომხმარებლის საქმიანობის იძულებითი შეწყვეტა) შედეგად მოსალოდნელი დანაკარგები;

სტატისტიკური რისკისგან განსხვავებით, დინამიკურ რისკს სამეწარმეო ფირმისთვის მოაქვს როგორც დანაკარგები, ისე მოგება. ამიტომ დინამიკურ რისკებს "საეკულაციურს" უწოდებენ. გარდა ამისა, დინამიკური რისკები, რომლებსაც მოაქვთ

დანაკარგები ცალკეული ფირმისთვის, შეიძლება ხელსაყრელი იყოს მთლიანად საზოგადოებისთვის.

ბიზნესის თეორიისადმი მიძღვნილ ლიტერატურაში ხშირად გამოიყენება ტერმინები “მაღალი რისკი” და “სუსტი რისკი”. მოცემულ შემთხვევაში ლაპარაკია რისკის სხვადასხვა დონეებზე. რისკის დონე დამოკიდებულია მოსალოდნელი დანაკარგების მასშტაბის შეფარდებაზე სამეწარმეო ფირმის ქონების მოცულობასთან და ამ დანაკარგების დადგომის ალბათობაზე.

სამეურნეო რისკის მოცემული კლასიფიკაცია საშუალებას გვაძლევს გავამარტივოთ მისი ხარისხობრივი (თვისებრივი) ანალიზი, განვსაზღვროთ მასზე მოქმედი ფაქტორები და წარმოშობის პოტენციური სფეროები, განვსაზღვროთ ყველა ძირითადი რისკი და შევარჩიოთ მისი მართვის სტრატეგია.

4. სამეწარმეო (სამეურნეო) რისკის წყაროები

სამეწარმეო (სამეურნეო) რისკის წყაროების მიხედვით გამოიყოფა საწარმოო, საფინანსო, საბაზრო, სამართლებრივი რისკები, დაძველების რისკი, სტიქიური უბედურებების რისკი, რისკის ადამიანისეული ფაქტორი; წარმოშობის დროის მიხედვით რისკები შეიძლება დაეყოს წარსულის, მიმდინარე და მომავლის რისკებად; მოქმედების სფეროს მიხედვით—შინაგან და საგარეო რისკებად; გამოვლენის ობიექტურობის მიხედვით—ობიექტურ და სუბიექტურ რისკებად; რისკის ხარისხის რეგულირების შესაძლებლობების მიხედვით განარჩევენ მართვად და უმართავ რისკებს.

სამეურნეო რისკის ეს კლასიფიკაცია საშუალებას გვაძლევს გავამარტივოთ მისი ხარისხობრივი (თვისებრივი) ანალიზი, დავადგინოთ მასზე მოქმედი ფაქტორები და წარმოშობის პოტენციური სფეროები, განვსაზღვროთ ყველა ძირითადი რისკი და შევარჩიოთ მათი მართვის სტრატეგია.

სამეურნეო რისკის მართვა უნდა ხდებოდეს უტაყბად, რომელთა შორის მთავარია: რისკის ანალიზი, რისკის კონტროლი და რისკის დაფინანსება.

რისკების ხარისხობრივი (თვისებრივი) ანალიზი გულისხმობს ყველა შესაძლო სახის რისკის გამოვლენას. მისი მთავარი ამოცანაა, განისაზღვროს რისკის ფაქტორები და სამუშაოთა ის უტაყბები, რომელთა შესრულების დროსაც იგი წარმოიშობა. ხარისხობრივი (თვისებრივი) შეფასება უკავშირდება ეკონომიკურ ინტერესებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა გავლენას, დროით ფაქტორებს და ეროვნული ეკონომიკის სხვადასხვა დონეზე ეკონომიკური ურთიერთობების რეგულირებას.

რისკის რაოდენობრივი ანალიზი არის რისკის კონკრეტული სახეების რიცხობრივი განსაზღვრა როგორც ცალ-ცალკე, ისე ერთობლიობაში. ნებისმიერი რისკის რაოდენობრივი შეფასების საფუძველს შეადგენს დამოკიდებულება დანაკარგთა ზომებსა და მათი წარმოშობის ალბათობას შორის. ეს დამოკიდებულება გამოისახება დანაკარგთა კონკრეტული დონის ალბათობათა მრუდის სახით.

განსაკუთრებით აღსანიშნავია რისკის პირობებში გადაწყვეტილებათა მიღებისას მეწარმის მიერ სტრატეგიის შერჩევის რამდენიმე ვარიანტი, რაც უშუალოდ უკავშირდება მეწარმის პიროვნებას. ამას ის განაპირობებს, რომ მეწარმეებს გააჩნიათ განსხვავებული ცოდნა მეწარმეობის სფეროში, სამეწარმეო საქმიანობის გაძლოლის განსხვავებული ჩვევები და გამოცდილება, ცალკეული გარიგებების რისკიანობის მიმართ განსხვავებული მოთხოვნები და მიდგომები.²

პირველი ვარიანტია რისკის აცილება. ფაქტიურად, იგი გეთავაზობს სამეწარმეო საქმიანობის სტაგნაციას, რადგან ამ შემთხვევაში მეწარმე ვერ მიიღებს დამა-

² Сно К.К. Управленческая экономика/Пер. с англ. – М.: Издательство ИНФРА-М, 2000, – 671с., ил.

ტებით შემოსავალს, რაც მის მიზანს შეადგენს. აქვე ხაზი უნდა გაესვას გარემოებას, რომ მიუხედავად რისკისთვის დამახასიათებელი დანაკარგების ლოვანი პოტენციალისა, იგი შესაძლო მოგების წყაროცაა. ამიტომ მეწარმის ამოცანა არა რისკისთვის თავის საერთოდ არიდება, არამედ რისკთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღება ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე, სახელდობრ, თუ რა ფარგლებში უნდა იმოქმედოს მან გარისკვის დროს.

მეორე ვარიანტია რისკის მიღება. ეს სტრატეგია იმას გულისხმობს, რომ მეწარმე შეგნებულად მიდის რისკზე და მანამდე საქმიანობს, სანამ დამდგარი რისკების შედეგად განცდილი ზარალი აუნაზღაურებელ დანაკარგებამდე არ მიიყვანს მას.

მესამე ვარიანტია რისკის მართვა, ე.ი. მისი გამოვლენა და შეფასება, აგრეთვე, დანაკარგების მინიმიზაციის ან დამატებითი შემოსავლის მიღების ზომების დამუშავება და დანერგვა. სამეურნეო რისკის ოპტიმალური მართვა, ჩვენი აზრით, უნდა მოიცავდეს სტრატეგიულ და ტაქტიკურ მართვას. სტრატეგიული გადაწყვეტილებები გამოიხატება მართვადი სისტემის გაურკვევლობასთან და სტოქასტურობასთან მაქსიმალურად ადაპტირებული საბაზო პარამეტრების შერჩევაში, ხოლო ტაქტიკური მართვა მეურნეობრიობის პირობების ცვლილებებზე ოპერატიული რეაგირების საშუალებას გვაძლევს.

სტრატეგიული ამოცანების გადაჭრისას მიზანშეწონილია საოპტიმიზაციო მეთოდების გამოყენება. წარმოების რეალური პირობების ადეკვატური ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელები უნდა ითვალისწინებდენ აგრარულ სფეროში კვლავწარმოებითი პროცესის სტოქასტიკურ ბუნებას, კლიმატური, ეკონომიკური და სოციალური პირობების ცვალებადობას.

რისკის დაფინანსების ეტაპზე უნდა დამუშავდეს ღონისძიებათა ის სისტემა, რომელიც მნიშვნელოვანწილად დაეკავშირება ისეთი რისკებისგან მიღებულ ფინანსურ დანაკარგებს, რომლებიც ან თავიანთი შედეგებით დაუშვებელია მეწარმისათვის, ან ის ვერ აკონტროლებს მათ. რისკის დაფინანსების მთავარი მიზანია დროში მისი ღირებულების ისე განაწილება, რომ შემცირდეს ის ფინანსური წნეხი, რომლის ქვეშაც მოყვება სასოფლო-სამეურნეო მწარმოებელი სერიოზული დანაკარგების შემთხვევაში. რისკის დაფინანსების შესაძლო ვარიანტებად უნდა განვიხილოთ სარეზერვო ფონდების შექმნა, რისკის გადაცემის სხვადასხვაგვარი ხერხების გამოყენება და ა.შ.

5. სამეწარმეო (სამეურნეო) რისკის მართვა

სამეწარმეო რისკის მართვა უნდა ხდებოდეს ეტაპობრივად, რომელთა შორის მთავარია: რისკის ანალიზი, რისკის კონტროლი, რისკის დაფინანსება.

რისკების ხარისხობრივი (თვისებრივი) ანალიზი წარმოადგენს ყველა შესაძლო სახის რისკის გამოვლენას, მისი მთავარი ამოცანაა განისაზღვროს რისკის ფაქტორები, სამუშაოთა ის ეტაპები, რომელთა შესრულებისას იგი წარმოიშობა. ხარისხობრივი (თვისებრივი) შეფასება დაკავშირებულია ეკონომიკურ ინტერესებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა გავლენასთან, დროით ფაქტორებთან, ეროვნული ეკონომიკის სხვადასხვა დონეებზე ეკონომიკური ურთიერთობების რეგულირებასთან.

რისკის რაოდენობრივი ანალიზი—არის რისკის კონკრეტული სახეების რიცხობრივი განსაზღვრა როგორც ცალ-ცალკე, ისე ერთობლიობაში. ნებისმიერი რისკის რაოდენობრივი შეფასების საფუძველს წარმოადგენს დამოკიდებულება დანაკარგთა განსაზღვრულ ზომებსა და მათი წარმოშობის ალბათობას შორის. ეს დამოკიდებულება გამოიხატება დანაკარგთა კონკრეტული ღონის ალბათობათა მრუდის სახით.



განსაკუთრებით აღსანიშნავია რისკის პირობებში გადაწყვეტილებათა მიღება-სთან დაკავშირებული მეწარმის სტრატეგიის რამდენიმე ვარიანტი, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული მეწარმის პიროვნებასთან. მეწარმის პიროვნებასთან დაკავშირებული რისკი იმით განისაზღვრება, რომ მეწარმებს გააჩნიათ განსხვავებული ცოდნა მეწარმობის სფეროში, სამეწარმეო საქმიანობის გაძლიერების განსხვავებული ჩვევები და გამოცდილება, ცალკეული გარიგებების რისკიანობის მიმართ განსხვავებული მოთხოვნები და მიდგომები.

პირველი ვარიანტი—რისკის აცილება. ფაქტიურად იგი გვთავაზობს სამეწარმეო საქმიანობის სტაგნაციას, რადგან ამ შემთხვევაში მეწარმე ვერ მიიღებს დამატებით შემოსავალს, რაც მის მიზანს წარმოადგენს. აქვე ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ მიუხედავად რისკისთვის დამახასიათებელი დანაკარგების მნიშვნელოვანი პოტენციალისა, იგი წარმოადგენს შესაძლო მოგების წყაროსაც. ამიტომ მეწარმის მთავარი ამოცანა არა საერთოდ რისკისთვის თავის არიდება, არამედ რისკთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღება ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე, სახელდობრ, თუ რა ფარგლებში უნდა იმოქმედოს მან გარისკვის დროს.

მეორე ვარიანტი—რისკის მიღება. ეს სტატეგია გულისხმობს, რომ მეწარმე შეგნებულად მიდის რისკზე და მანამდე საქმიანობს, სანამ ზარალი დამდგარი რისკების შედეგად არ მიიყვანს მას აუნაზღაურებელ დანაკარგებებამდე.

ნულოვანი რისკის ("0"-რისკის) პრინციპი

"0"-რისკის პრინციპის შესაბამისად იგულისხმება ნებისმიერი რისკის მიუღებლობა, რაც არ უნდა მცირე იყოს ის და რა ხელსაყრელიც არ უნდა იყოს ის საზოგადოებისათვის.

რისკის მისაღებლობა

რისკის ანალიზი, ალბათური შეფასებების ჩათვლით, არ იძლევა პასუხს კითხვაზე "რამდენად სახიფათოა ან უსაფრთხოა?" საბოლოო სიტყვა ეკუთვნის პოლიტიკოსებს და რისკ-მენეჯერებს—განსაჯონ რამდენად უსაფრთხოა და დაადგინონ მისაღები დონე მრავალი კრიტერიუმის მიხედვით ხელსაყრელობის და რისკის სხვადასხვა ასპექტებზე დაყოფილებით.

სახელმწიფო დონეზე მისაღები რისკის კონცეფციაზე დაფუძნებული რისკის ანალიზის და მართვის მეთოდოლოგია პირველად ნიდერლანდებში იქნა მიღებული. აღნიშნულმა მიდგომამ უკანასკნელ დროს საზღვარგარეთ ფართო გავრცელება ჰპოვა რისკის მართვის პრაქტიკულ საქმიანობაში. ამ მიდგომის შესაბამისად რისკის (ინდივიდუალურის და სოციალურის) მნიშვნელობის მიხედვით სპექტრი ე.წ. "შუქნიშნის" პრინციპის შესაბამისად დაყოფილია სამ არედ:

- დაუშვებელი (გადაჭარბებული) რისკის არე – "წითელი" არეალი;
- მისაღები რისკის არე – "ყვითელი" არეალი;
- უგულველყოფადი რისკის არე – "მწვანე" არეალი.

თუ რისკის შეფასებისას დადგინდა, რომ მისი სიდიდე იმყოფება "დაუშვებელი" რისკის ზონაში, მაშინ საწარმოს მენეჯერებს უნდა მიიღონ სერიოზული ზომები რისკის მისაღებ დონემდე შესამცირებლად.

თუ რისკის შეფასებისას დადგინდა, რომ მისი სიდიდე იმყოფება მისაღები და მიუღებელი რისკის ზონების გამყოფი "ორი წრფის" შორის, მაშინ საწარმოს მენეჯერებს რისკის შესამცირებლად უნდა მიიღონ ისეთი ზომები, რაც გონივრულად თვლება პრაქტიკული თვალსაზრისით: აქ იგულისხმება, რომ ამ ზომების გატარება

არ მოითხოვს გაუმართლებლად დიდ დანახარჯებს ან ძალისხმევას. ეს არის ALARA/ALARP-ის პრინციპი.³

ამრიგად, საზღვარგარეთის პრაქტიკაში გამოყენებული ნორმატიული მდგომარეობის საფუძველს წარმოადგენს “დაუსვებელი” (ან “გადაჭარბებული”) რისკის ცნების შემოღება. “დაუსვებელი” (ან “გადაჭარბებული”) რისკის მიდამოს შემოღება იმთავითვე ეფუძნებოდა ინდივიდუალური რისკის მაქსიმალურად დასაშვები დონის (მდდ) ცნებას. რისკის მდდ უნდა იყოს საკმარისად დაბალი, რათა არ გამოიწვიოს ინდივიდუალური რისკის რაიმე შემოღება.

რისკი: შედეგების და ალბათობის რაოდენობრივი შეფასება⁴

№	რისკის სახეობა	შედეგი და ალბათობა
1	მინიმალური რისკის მიდამო	ხასიათდება გათვლილი მოგების შესაძლო დანაკარგებით 0-25%-ის ფარგლებში
2	მომატებული (დასაშვები) რისკის მიდამო	ხასიათდება გათვლილი მოგების შესაძლო დანაკარგებით 25-50%-ის ფარგლებში
3	კრიტიკული რისკის მიდამო	ხასიათდება გათვლილი მოგების შესაძლო დანაკარგებით 50-75%-ის ფარგლებში
4	დაუსვებელი (კატასტროფული) რისკის მიდამო	შესაძლო დანაკარგები მახლოებულია საკუთარი სახსრების სიდიდესთან. რისკის კოეფიციენტი შეადგენს 75-100%-ს

დასაშვები რისკის დონის შემდეგი ემპირიული სკალა⁵:

რისკის სიდიდე ბალებში	გრადაციის დასახელება
0,0 – 0,1	მინიმალური რისკი
0,1 – 0,3	მცირე რისკი
0,3 – 0,4	საშუალო რისკი
0,4 – 0,6	მაღალი რისკი
0,6 – 0,8	მაქსიმალური რისკი
0,8 – 1,0	აზარტული რისკი

საბაზრო ურთიერთობათა ჩამოყალიბების პირობებში ეკონომიკური სიტუაციის განუსაზღვრელობის გათვალისწინებით, აღნიშნული სკალის საფუძველზე ზემოთ მოტანილი მახასიათებლების გათვალისწინებით შეიძლება გამოვყოთ რისკის შემდეგი მიდამოები (ზონები):

რისკის სიდიდე ბალებში	რისკის მიდამოები
0,0 – 0,1	ურისკო მიდამო
0,1 – 0,3	მინიმალური რისკის მიდამო
0,3 – 0,4	დასაშვები რისკის მიდამო
0,4 – 0,6	კრიტიკული რისკის მიდამო
0,6-ზე მეტი	კატასტროფული რისკის მიდამო

³ ALARA/ALARP (As Low As Reasonably Applicable/Practicable) – რისკის მართვისადმი მდგომარეობა, რომელიც გულისხმობს მის მაქსიმალურად შემცირებას, რაც მიიღწევა რეალურად არსებული (შეზღუდული) რესურსების ხარჯზე.

⁴ Тэпман Л.Н. Риски в экономике: Учеб. пособие для вузов / Под ред. проф. В.А.Швандара. – М.: ЮНИТИ-ДАНА, 2002, с.32

⁵ Хозяйственный риск и методы его измерения: Пер. с венг. / Бачкаи Т., Мессена Д., Мико Д. и др. – М.: Экономика, 1979, с. 79



საუბარი საწარმოს განსაზღვრულ მიდამოში მოხვედრაზე მაშინ, როცა დანაკარგებს უკვე აქვს ადგილი, რამდენიმე აზრს მოკლებულია (თუმცა გასაანალიზებლად და მომავალში გასათვალისწინებლად მათი განხილვა უადრესად აქტუალურია). აუცილებელია ჯერ კიდევ სარისკო სიტუაციის დადგომამდე, მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში განისაზღვროს, რომელ მიდამოში შეიძლება მოხდეს საწარმო მიღებულ გადაწყვეტილებათა რეალიზაციის შემთხვევაში. ეს უადრესად მნიშვნელოვანია, რადგან მეურნე სუბიექტი შეძლებს შეაფასოს მათი მიზანშეწონილობა და მასზე ზემოქმედი არახელსაყრელი გადახრების შემცირების კონკრეტული მეთოდები.

რისკი: შედეგებისა და ალბათობის რაოდენობრივი შეფასება⁶

№	შედეგები	ალბათობა
1	შეზღუდული ან უმნიშვნელო გავლენა ორგანიზაციის ძირითად საქმიანობაზე – რამდენიმე ათასი დოლარის ფარგლებში	რისკის მატერიალიზაციის ალბათობა 25%-ზე ნაკლებია
2	გავლენის დაბალი ხარისხი ორგანიზაციის ძირითად საქმიანობაზე – რამდენიმე ათეული ათასი დოლარის ფარგლებში	რისკის მატერიალიზაციის ალბათობა 25-50%-ის ფარგლებშია
3	გავლენის მაღალი ხარისხი ორგანიზაციის ძირითად საქმიანობაზე – ბევრი ათეული ათასი დოლარის და, შესაძლოა, ასი ათას დოლარზე მეტის ფარგლებში	რისკის მატერიალიზაციის ალბათობა 50-75%-ის ფარგლებშია
4	გავლენის ძალიან მაღალი ხარისხი ორგანიზაციის ძირითად საქმიანობაზე – ასეულობით ათასი და, შესაძლოა, მილიონობით დოლარის ფარგლებში	რისკის მატერიალიზაციის ალბათობა 75%-ზე მეტია

მესამე ვარიანტი – რისკის მართვა, ე.ი. მისი გამოვლენა და შეფასება, აგრეთვე დანაკარგების მინიმიზაციის ან დაბატებითი შემოსავლის მიღების ზომების დამუშავება და დანერგვა. სამეურნეო რისკის ოპტიმალური მართვა, ჩვენი აზრით, უნდა მოიცავდეს სტრატეგიულ და ტაქტიკურ მართვას. სტრატეგიული გადაწყვეტილებები გამოიხატება მართვადი სისტემის გაურკვევლობასთან და სტოქასტურობასთან მაქსიმალურად ადაპტირებული საბაზო პარამეტრების შერჩევაში, ხოლო ტაქტიკური მეურნეობრიობის პირობების ცვლილებებზე ოპერატიული რეაგირების საშუალებას გვაძლევს.

სტრატეგიული ამოცანების გადაჭრისას მიზანშეწონილია საოპტიმიზაციო მეთოდების გამოყენება. წარმოების რეალური პირობების ადეკვატური ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელები უნდა ითვალისწინებდნენ აგრარულ სფეროში კვლავწარმოებითი პროცესის სტოქასტიკურ ბუნებას, კლიმატური, ეკონომიკური და სოციალური პირობების ცვალებადობას.

რისკის დაფინანსების ეტაპზე უნდა დამუშავდეს ღონისძიებათა სისტემა, რომელიც საშუალებას მოგვცემს მნიშვნელოვანწილად დაიფაროს ისეთი რისკებისგან მიღებული ფინანსური დანაკარგები, რომლებიც თავისი შედეგებით დაუსვებელია ბუნებრივსა და ადამიანურ ფაქტორებს, ან ის მათ ვერ აკონტროლებს. რისკის დაფინანსების მთავარი მიზანი მფლობელობის მისი ღირებულების დროში ისეთ განაწილებაში, რომ შემცირდეს ის ფინანსური წინეხი, რომლის ქვეშაც მოყვება სასოფლო-სამეურნეო მწარმოებელი

⁶Холмс Эндриу. Риск-менеджмент / Пер. с англ. – М.: Эксмо, 2007, с.134.

სერიოზული დანაკარგების შემთხვევაში. რისკის დაფინანსების შეაძლო ვარიანტებად უნდა განვიხილოთ სარეზერვო ფონდების შექმნა, რისკის გადაცემის სხვადასხვა ხერხების გამოყენება და ა.შ.

თანამედროვე პირობებში მდგრადი კონკურენტუნარიანობის მისაღწევად საოფლო-სამეურნეო მწარმოებლებს უნდა შეეძლოთ გადაწყვეტილებების მიღება რისკისა და გაურკვევლობის პირობებში. სამეურნეო რისკის მართვის მეთოდოლოგიური საკითხების შესწავლა და მათი პრაქტიკაში განხორციელება დაეხმარება სოფლის სამეწარმეო სტრუქტურებს არა მარტო ნათელი წარმოდგენა შეექმნათ რისკის ყველა წყაროს შესახებ, არამედ დააშუაშონ ღონისძიებათა სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს სარისკო სიტუაციების უარყოფითი ზემოქმედების შემცირებას.

რისკის მართვის მექანიზმი ფერმერულ მეურნეობებში

ჩატარებულმა კვლევებმა გვჩვენა, რომ საქართველოში სასოფლო-სამეურნეო წარმოების სამეურნეო რისკის მართვის მექანიზმის შემუშავების აქტუალობა გააბირობებულია აგრარულ სექტორში განხორციელებული პროცესებით, რაც გამოიწვეულია ამ უკანასკნელის მეურნეობრიობის საბაზრო მოდელზე გადასვლით. ასეთ სიტუაციაში ეკონომიკური სუბიექტების სტაბილური და წარმატებული განვითარებისადმი სწრაფვა ეფასება ჩამოყალიბების პროცესში მყოფ (და ხშირად უმოქმედო) სუბიექტის საქმიანობის მართვის აპარატს. ეს აიხსნება, ერთი მხრივ, მათი საქმიანობის სამეწარმეო ხასიათით, ხოლო მეორე მხრივ, საწარმოს მდგომარეობაზე ნეგატიური ფაქტორების ზემოქმედების შემცირების მექანიზმის განუვითარებლობით, რაც მათ არ აძლევს საშუალებას დროულად და ადეკვატურად მოახდინონ რეაგირება იმ პროცესების დინამიკაზე, რომელიც განსაზღვრავს დარგში სოციალურ და ეკონომიკურ სიტუაციას.

რისკის მართვის მეთოდები მეტად მრავალფეროვანია. განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ რისკის მართვის თითოეული ეტაპი გულისხმობს სხვადასხვა მეთოდების გამოყენებას.

რისკის მართვის მიზნების დასახვის ეტაპი ხასიათდება ეკონომიკური კონიუნქტურის ანალიზისა და პროგნოზირების მეთოდების გამოყენებით, სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა განვითარების სტრატეგიული და მიმდინარე გეგმების ფარგლებში ამ უკანასკნელის შესაძლებლობათა და მოთხოვნილებათა გამოვლენით.

რისკის ანალიზის ეტაპზე გამოიყენება თვისებრივი და რაოდენობრივი ანალიზის მეთოდები, კერძოდ არსებული და ახალი ინფორმაციის მოპოვების, სასოფლო-სამეურნეო საწარმოს საქმიანობის მოდელირების მეთოდები, სტატისტიკური და ალბათური მეთოდები და ა.შ.


მესამე ეტაპი მოიცავს რისკზე ზემოქმედების სხვადასხვა მეთოდის ეფექტიანობის შედარებას, კერძოდ განიხილება რისკისთვის თავის არიდება, რისკის შემცირება, რისკის თავის თავზე აღება, რისკის ნაწილია ან მთლიანი რისკის მესამე პირისათვის გადაცემა, რის შედეგადაც შემუშავდება რისკზე ზემოქმედების ოპტიმალური ჩამონათვალის შერჩევის გადაწყვეტილება.

რისკის მართვის დასკვნითი ეტაპი მოიცავს მიღებულ გადაწყვეტილებათა ეფექტიანობის ანალიზს და ამ ანალიზის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, რისკის მართვის ადრე დასახული მიზნების კორექტირება.

რისკის მართვის სტრატეგიის ჩამოყალიბების საბაზო ეტაპს წარმოადგენს რისკის ანალიზი, კერძოდ, რისკის თვისებრივი (ხარისხობრივი) ანალიზი, რომლის ძირითადი ამოცანაა რისკის წყაროების და მიზეზების გამოვლენა, ანუ რისკის პოტენციური ზონების განსაზღვრა, სასოფლო-სამეურნეო საწარმოს საქმიანობის თანმდევი

რისკების გამოვლენა და მათი შესაძლო დადებითი თუ უარყოფითი ზემოქმედების პროგნოზირება.

ფერმერული მეურნეობების რისკის მართვის პროცესი სქემატურად შემდეგნაირად შეიძლება წარმოვადგინოთ, იხილეთ სქემა).



რისკის თვისებრივი ანალიზის საბოლოო შედეგები წარმოადგენს რაოდენობრივი ანალიზის ჩატარების საფუძველს. რისკის რაოდენობრივი ანალიზის ეტაპზე გამოითვლება სარისკო მოვლენების დადგომის ალბათობის რიცხვითი მნიშვნელობები და მათი შესაძლო დადებითი თუ უარყოფითი ზემოქმედების მოცულობები.


ამრიგად, ზემოთ მოყვანილის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა (ფერმერული მეურნეობების) საქმიანობის თანმდევი მრავალფეროვანი რისკების სრულყოფილი და ეფექტური ანალიზისათვის აუცილებელია მეთოდთა მთლიანი კომპლექსის გამოყენება, რაც, თავის მხრივ, მოითხოვს რისკის მართვის გამართული მექანიზმის ჩამოყალიბებას.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა (ფერმერული მეურნეობების) რისკის მართვის მექანიზმის ჩამოყალიბების პირველ ეტაპს წარმოადგენს რისკ-მენეჯმენტის ჯგუფის (სამსახურის) შექმნა.⁷ საქართველოს აგრარული სექტორის განვითარების დღევანდელ ეტაპზე ამ სტრუქტურის მიზანს უნდა წარმოადგენდეს ფერმერული მეურნეობების დანაკარგების მინიმიზაცია მათი საქმიანობის მონიტორინგის, რისკწარმომქმნელი ფაქტორების მთლიანი კომპლექსის ანალიზის, რისკის შემცირების რეკომენდაციების შემუშავების და მათი შესრულების კონტროლის მეშვეობით.

ჩატარებული კვლევებისა და შესწავლილი ფერმერული მეურნეობების მონაცემების განზოგადების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს ფერმერულ მეურნეობებში რისკის მართვის მექანიზმს უნდა ჰქონდეს მკაფიო იერარქიული სტრუქტურა რისკის უარყოფითი ზემოქმედების შესამცირებლად დასახულ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად მისი შესაძლო კორექტირების მიზნით.

⁷ წერილი ფერმერული მეურნეობების შემთხვევაში ასეთი სტრუქტურის შექმნა შესაძლებელია რეგიონული პრინციპით კოლპერატულ საფუძველზე

ფერმერული მეურნეობების რისკის მართვის მექანიზმი სტრატეგიულად განიარაღ შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:



რისკის მინიმიზაციის თეორიისა და პრაქტიკის სათანადო ლიტერატურისა და საქართველოს აგრარული სექტორის არსებული მდგომარეობის ანალიზმა დაგვიდასტურა ფერმერული მეურნეობების რისკის მართვის მექანიზმის შემუშავების აქტუალობა და მისი დანერგვის აუცილებლობა სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა საქმიანობის პრაქტიკაში.

7. დაზღვევა-სამეწარმეო (სამეურნეო) რისკის მართვის განსაზღვრული ინსტრუმენტი

ამ ბოლო პერიოდში საქართველოში გაიზარდა ინტერესი აგრარული რისკების დაზღვევის სისტემის ჩამოყალიბებისადმი. ცხადია, რომ საბჭოთა კავშირის დროს არსებულმა სადაზღვევო სისტემამ, მისი სავალდებულო და ყოვლისმომცველი ხასიათით, აგრეთვე კატასტროფული ზარალის ანაზღაურების მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების პრაქტიკულად შეუზღუდავი ასიგნებებით, არსებობა დაასრულა და ახალ ისტორიულ და ეკონომიკურ პირობებში მისი აღორძინება შეუძლებელია. ამასთან, პოსტ-საბჭოურ პერიოდში აგრარული რისკების დაზღვევის სისტემის ფაქტორული არარსებობის პირობები იმაში გვარწმუნებს, რომ არსებული მდგომარეობა მნიშვნე-

ლონად ასუსტებს აგრარული სექტორის განვითარებას, რადგან სამეურნეო საქმიანობის შედეგები ამ სექტორში უფრო მეტად, ვიდრე ნებისმიერ სხვაში, დამოკიდებულია კლიმატურ ფაქტორებზე და ექვემდებარება კლასიკურ სადაზღვევო რისკებს – მეურნე სუბიექტის გავლენის არეალის გარეთ არსებულ რისკებს.

აგრარული რისკების დაზღვევის ახალი სისტემის ჩამოყალიბებისას, აუცილებელია გავითვალისწინოთ საერთაშორისო გამოცდილება, გამოვიყენოთ მისი საუკეთესო მაგნიტები და ვეცადოთ თავიდან ავიცილოთ ის შეცდომები, რომელიც თავის დროზე დაუშვეს ამჟამად აგრარული რისკების დაზღვევის განვითარებული სისტემის მქონე ქვეყნება.

საქართველო აგრარული ქვეყანაა. სწორედ ამის გამო სპეციალისტები დღემდე კამათობენ, სოფლის მეურნეობის დარგების დაზღვევა ქვეყანაში უნდა იყოს თუ არა საგაღდებულო. ქვეყანამ ლიბერალური ეკონომიკური განვითარების კურსი აირჩია და საგაღდებულო დაზღვევა, ამის გამო, პრაქტიკულად გამოირიცხა. ექსპერტების უმრავლესობა არ ემხრობა სოფლის მეურნეობის საგაღდებულო დაზღვევის შემოღებას, თუმცა ამ ეტაპზე დასაშვებად მიიჩნევენ იმ გზის გავლას, რომელიც ევროპის ბერმა ქვეყანამ აირჩია. დასაწყისში მოქმედებდა საგაღდებულო დაზღვევა, მოგვიანებით კი, ფერმერული მეურნეობები თანდათან კოოპერაციული დაზღვევის სისტემაზე გადავიდა. ამჟამად ევროპაში, ძირითადათ, ე.წ. თანადაზღვევის პრინციპი მოქმედებს.

სოფლის მეურნეობაში ყველაზე უფრო გავრცელებულია მოსავლის დაზღვევა. საქართველოში სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაზღვევა პრაქტიკულად არ ხორციელდება. კერძო სტრუქტურები, დარგის მაღალი რისკიანობის გამო ნაკლებად არიან (თუ საერთოდ არიან) დაინტერესებული ამ სფეროში საქმიანობით. დღეისათვის უშუალოდ მოსავლის დაზღვევას საქართველოში პრაქტიკულად არცერთი სადაზღვევო კომპანია აღარ ახორციელებს. თუმცა, არსებობს ამ საჭიროებისათვის ბანკებიდან გაცემული მიკროსესხების დაზღვევის პრაქტიკა.

2005 წელს სადაზღვევო კომპანია “ალდაგმა” და “სახალხო ბანკმა” კახეთის რეგიონის მოსახლეობისათვის სწორედ ასეთი ტიპის ერობლივი პროდუქტი დანერგა, ანუ “სახალხო ბანკსა” და სადაზღვევო კომპანია “ალდაგს” შორის შეთანხმება მიკროსესხების დაზღვევის თაობაზე. აღნიშნული შეთანხმების თანახმად “სახალხო ბანკი” გასცემდა კრედიტს (სესხს) კახეთის რეგიონში მცხოვრებ ფერმერებზე (გლეხებზე), ხოლო “ალდაგი” ვალდებულებას იღებდა კრედიტის დაბრუნების სადაზღვევო უზრუნველყოფაზე. იგივე ხელსეკრულების თანახმად, “ალდაგი” იმ შემთხვევაში გასცემდა სადაზღვევო ანაზღაურებას, თუ ფერმერის მოსავალი იხე დაისეტყვებოდა, რომ გადარჩენილი მოსავლის ღირებულება საკმარისი არ აღმოჩნდებოდა ბანკისთვის კრედიტის დარჩენილი ნაწილის დასაფარავად.⁸

აღნიშნულ ღონისძიებასთან დაკავშირებით შეიქმნა გაუგებრობა – სეტყვამ და ქროშხალმა ყვარლის რაიონის რამდენიმე სოფელი მნიშვნელოვნად დააზარალა, მათ შორის ის ვენახებიც, რომლის პატრონებმაც ბანკიდან კრედიტი გაიტანეს. ფერმერები კი აცხადებდნენ, რომ ანაზღაურების გაცემაზე “ალდაგმა” მათ უარი უთხრა, მიუხედავად იმისა, რომ მდგომარეობის შესასწავლად ყვარელში სადაზღვევო კომპანიის წარმომადგენლობა ჩავიდა და დაზიანების ზარისხი დაადგინა. ფერმერები “ალდაგ-სგან” ზარალის ანაზღაურებას ითხოვდნენ – ანაზღაურებას, რომელიც სინამდვილეში არ ეკუთვნოდათ, რადგან რეალური სურათი სხვაგვარია.

“ალდაგში” განმარტავდნენ, რომ აღნიშნული სადაზღვევო ხელშეკრულებიდან გამომდინარე, “ალდაგი” თანხას უნაზღაურებდა ნებისმიერ შემთხვევაში მხოლოდ

⁸ ნიკორგაძე - აურზაური არაფრის გამო, გაზ. “24 საათი”, 20/12/05, №282 (1142).

ბანკს, როგორც მოსარგებლეს და არა ფერმერებს (გლეხებს). სადაზღვევო ანაზღაურების ლიმიტის განსაზღვრა ყველა კონკრეტული ხელშეკრულების გაფორმებისას განისაზღვრა ბანკის მიერ, გაცემული კრედიტის პროპორციულად. "აღდავიც" სადაზღვევო ანაზღაურებას გასცემდა ბანკისთვის დაუფარავი კრედიტის შესაბამისად".

სადაზღვევო საქმის ექსპერტების შეფასებით, მოვლენების ისეთი ინტერპრეტაცია, რომ "აღდავიც" დაზღვია ფერმერების (გლეხების) მოსავალი და მათ საფსური აღარ გადაუხადა, არასწორია. სინამდვილეში "აღდავიც" დაზღვია არა ფერმერების (გლეხების) მოსავალი, არამედ ბანკის ინტერესი ანუ სესხი. ბანკის ინტერესი კი იყო ის, რომ თუ (ფერმერების მოსავალი ვერ უზრუნველყოფდა ბანკის სესხის დაფარვას, სწორედ ამ ტაპზე ჩნდებოდა "აღდავიც" ვალდებულება. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ მთელი რისკ-მენეჯმენტი გასწია "სახალხო ბანკმა", რომელმაც გაიაზრა თავისი რისკი ამ დაკრედიტების დროს და უზრუნველყო იმ ნაწილის დაზღვევა, რომელიც ბანკისათვის მნიშვნელოვან რისკად მიიჩნია. პრეტენზიები ბანკის ან სადაზღვევო კომპანიის მიმართ გაუმართლებელი იყო, რადგან ფერმერს თავისი ინტერესი არ დაუზღვევია და შესაბამისად მისი ინტერესი ვერ იქნებოდა დაცული. მიუხედავად ამისა, იგი არ დაზარალებულა, რადგან მას ბანკის ვალი არ დარჩა, ანუ მისი ვალი სადაზღვევო კომპანიას უნდა გადაიხადა.

აღსანიშნავია, რომ პრობლემები საქართველოში შეიქმნა მომდევნო წლებშიც, ყურძნისა და ხილის და საერთოდ, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებასთან დაკავშირებით, კერძოდ კულტურების დაზღვევის და, განსაკუთრებით, მათ რეალიზაციასთან დაკავშირებით. ასევე, სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს გაზშირებული სტიქიური მოვლენები და, სათანადო სადაზღვევო სისტემის არარსებობის გამო, ამ მოვლენებისაგან ფერმერული მეურნეობების (სასოფლო-სამეურნეო მწარმოებლების) სრული დაუცველობა.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში სოფლის მეურნეობა დღეს არადაზღვევადია, ვინაიდან არ არის გამჭვირვალე აღრიცხვა, ძალზე ცუდია კაპიტალიზაცია. გართულებულია რისკის შეფასება თუნდაც იმიტომ, რომ არ არსებობს სათანადო სტატისტიკური მონაცემები, რისკის დივერსიფიცირება, სამართლიანი პრემიის დანიშვნა, ზარალების ობიექტური დადგენა. ჩვენს მიერ მოხმობილი მაგალითის შემთხვევაში, ყველაფერ ამას დაემატა ანტისელექციაც, რაც გულისხმობს, რომ იზღვევოდა ისეთ ტერიტორიაზე გაშენებული ვენახები, რომლებიც მაღალი ალბათობით დაისეტყვებოდა. დაზღვევის ამ სახეობას პერსპექტივა ექნებოდა, თუ თანაბრად დაიზღვევა როგორც სეტყვაჭარბი, ასევე ნაკლებად სეტყვაჭარბი რეგიონები და ტერიტორიები. ამ შემთხვევაში მოხერხდებოდა სადაზღვევო რისკის გაშლა, რაც საშუალებას მისცემს კომპანიებს, დააბალანსონ პორტფელი.

უკანასკნელ პერიოდში საქართველოში სადაზღვევო ბიზნესმა დიდი ნახტომი გააკეთა, თუმცა ჯერ კიდევ განვითარების პროცესშია. იმიტომ, გადაჭრით იმის თქმა, არის თუ არა ქართული სადაზღვევო სისტემა მზად აგრარული სექტორის რისკის დაზღვევისთვის, ჯერ ნაადრევია. ჩვენი აზრით, თუ სახელმწიფოს მხრიდან არ იქნება რაიმე დახმარება თავად სადაზღვევო სისტემის მიმართ, ცალკე არსებული კერძო კომპანია ამ რისკს არ აიღებს. სოფლის მეურნეობის რისკების დაზღვევა ყველა ქვეყანაში არსებობს. ეს საქართველოშიც აუცილებელია, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც სოფლის მეურნეობა განვითარების სტადიაშია. თუ აგრარულ სექტორში სამეურნეო რისკების, მაგალითად, ყურძნის მოსავლის დაზღვევა სახელმწიფო დონეზე იქნება აყვანილი, ეს, მაღალი ალბათობით, წარმატების საწინდარი გახდება.

ამ მხრივ მეტად საუკუნისხმოა განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების პრაქტიკა.⁹ მათ უმეტესობაში მოსავლის დაზღვევაში წამყვან როლს სახელმწიფო თამაშობს. სადაზღვევო კომპანიებში სახელმწიფოს მონაწილეობით კონცენტრირდება დიდძალი საფინანსო სახსრები, რაც საშუალებას იძლევა მაქსიმალურად იქნეს მოცული სადაზღვევო სივრცე და უწყურადღებოდ არ დარჩეს ყველაზე მეტად სერიოზული სადაზღვევო რისკები.

ევროკავშირის ქვეყნებში თანამეგობრობის წევრებს უფლება აქვთ მისცენ ფერმერებს სუბსიდიები სასოფლო-სამეურნეო დაზღვევისათვის. დაზღვევის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა ფართო მასშტაბით ხორციელდება, მაგალითად, საფრანგეთში, სადაც შექმნილია მსხვილი სასოფლო-სამეურნეო უბედურებებისაგან ზარალის კომპენსირების ეროვნული საგარანტიო ფონდი. ფონდის სახსრები შედგება 50%-ით სახელმწიფო ბიუჯეტისა და 50%-ით ფერმერების სადაზღვევო შენატანებისაგან. ფერმერებისათვის სადაზღვევო გადასახდელების სიდიდეს ადგენს სოფლის მეურნეობის და ფინანსთა სამინისტროები. ესპანეთში სახელმწიფო სუბსიდიები სადაზღვევო შენატანების გადახდაზე მერყობს 20-დან 50%-მდე. ამავე დროს, ევროკავშირის ზოგიერთ ქვეყანაში, რომლებიც ხასიათდება მდგრადი სასოფლო-სამეურნეო წარმოებით, დაზღვევის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა არა გამოიყენება.

კანადაში სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაზღვევისას 50%-ს იხდის ფერმერი, 25%-ს-ფედერალური მთავრობა და 25%-ს-პროვინციების მთავრობა. ფერმერთა შემოსავლების დაზღვევისას საბიუჯეტო სუბსიდიები შეადგენს 67%-ს.

აშშ-ში XX საუკუნის 30-იან წლებში შეიქმნა ამჟამადაც მოქმედი სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის (სამინისტროს) მოსავლის დაზღვევის ფედერალური კორპორაცია. რწმუნებული დამზღვევები-კერძო სადაზღვევო კომპანიები-მონაწილეობენ ფედერალური დაზღვევის პროგრამაში და გადაზღვევას ახდენენ მოსავლის დაზღვევის ფედერალური კორპორაციაში. დაზღვევის მინიმალური დონე მთლიანად ფინანსირდება სახელმწიფო ბიუჯეტის მიერ და გარანტირებულად უნაზღაურებს ზარალს ფერმერებს მოსავლის მოსალოდნელზე 50%-ით მიღების შემთხვევაში, ამასთან, ზარალის ანაზღაურება ხდება ფიქსირებული ფასის 60%-ის ოდენობით.

განხილული მაგალითები ცხადყოფს, რომ კლასიკური საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებშიც კი სახელმწიფო აქტიურად ერევა აგრარული სექტორის რეგულირებაში, კერძოდ, რისკის მართვაში სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაზღვევის მეშვეობით. ამიტომ, ჩვენში არც თუ იშვიათად გამოთქმული ულტრალიბერალური მოსაზრებები (მათ შორის მაღალ სამთავრობო დონეზეც) ეკონომიკის მართვაში სახელმწიფოს სრული ჩაურევლობის შესახებ, მართებულად არ მიგვაჩნია.

⁹ Risk and Crisis Management in the EU. J. Bensted-Smith, Directorate G: Economic analyses and evaluation, DG Agriculture and Rural Development European Commission. [http://enesa.mapa.es/International Conference on "Farm Insurance as a Risk Management Tool"](http://enesa.mapa.es/International Conference on 'Farm Insurance as a Risk Management Tool'). Madrid, Spain. November 15-17, 2006; Agricultural Policies and Risk Management. Jesús Antón, OCDE Directorate for Food, Agriculture and Fisheries, Paris. [http://enesa.mapa.es/International Conference on "Farm Insurance as a Risk Management Tool"](http://enesa.mapa.es/International Conference on 'Farm Insurance as a Risk Management Tool'). Madrid, Spain. November 15-17, 2006; An Overview of Canada's Business Risk Management Programming. D. Foster, Canadian Department of Agriculture. [http://enesa.mapa.es/International Conference on "Farm Insurance as a Risk Management Tool"](http://enesa.mapa.es/International Conference on 'Farm Insurance as a Risk Management Tool') Madrid, Spain. November 15-17, 2006; Crop Insurance in the United States. James Callan, USDA RMA Deputy Manager, Federal Crop Insurance Corporation. [http://enesa.mapa.es/International Conference on "Farm Insurance as a Risk Management Tool"](http://enesa.mapa.es/International Conference on 'Farm Insurance as a Risk Management Tool'). Madrid, Spain. November 15-17, 2006.



განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების აგრარული დაზღვევის მოდელების ანალიზი საფუძველს გვაძლევს გამოვიტანოთ ზოგიერთი დასკვნა სასაქონლოში აგრარული დაზღვევის სისტემის ჩამოყალიბების სტრატეგიის შესაძრავებლად:

1. მიმსათვისა, რომ აგრარული დაზღვევის სისტემა იყოს ეფექტიანი და ემსახურებოდეს ყველა მისი მონაწილის ინტერესებს, აუცილებელია შევქმნიდეთ და დავინდოთ, კანონმდებლობით განმტკიცდეს და გარკვეული დროის განმავლობაში უცვლელი იყოს თამაშის წესები. თამაშის წესები უნდა შემუშავდეს სისტემის სამივე მონაწილის- მთავრობის, სადაზღვევო კომპანიების და სასოფლო-სამეურნეო მწარმოებლების- პოზიციების გათვალისწინებით. სწორედ მთავრობას, რომელიც წარმოადგენს საზოგადოებრივი ინტერესების გამომხატველს, უნდა ეკუთვნოდეს მთავარი როლი სხვა მონაწილეების ძალისხმევების კონსოლიდაციასა და მათი ინტერესების დებალანსებაში. ამავე დროს, სისტემის ყველა მონაწილე უნდა შეთანხმდეს, რომ აღიარებს ნდობისა და პარტნიორობის პრინციპებს;

2. აგრარული რისკების დაზღვევის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა, რომელიც ხორციელდება სადაზღვევო პრემიის სუბსიდირებისა და სახელმწიფოებრივი გადაზღვევის გარანტიების მეშვეობით, წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო მწარმოებლების მხარდაჭერის უფრო ეფექტიან ფორმას, ვიდრე სახელმწიფოს პირდაპირი დახმარება კატასტროფული ზარალის დადგომის შემთხვევაში;

3. სასოფლო-სამეურნეო მწარმოებლების მონაწილეობა დაზღვევაში ნაბაყოფობითი უნდა იყოს. აგრარული რისკების დაზღვევის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა არ წარმოადგენს სავალდებულო დაზღვევის არგუმენტს, თუმცა არის ამ პროცესის სახელმწიფოებრივი კონტროლის საფუძველი;

4. აგრარული დაზღვევის სისტემის მართვაში სახელმწიფოს მთავარ ფუნქციებს უნდა წარმოადგენდეს: (ა) სისტემის დაგეგმვა და საერთო კოორდინაცია სახელმწიფოებრივი სადაზღვევო სუბსიდიების ადმინისტრირების ჩათვლით; (ბ) სისტემის სახელმწიფოებრივი გადაზღვევა და (გ) აგრარული დაზღვევის სფეროში სადაზღვევო საქმიანობის კონტროლი. ჩვენი აზრით, საქართველოს თანამედროვე ინსტიტუციონალური მდგომარეობა, მთავრობას მხოლოდ მესამე ფუნქციის-სადაზღვევო საქმიანობის კონტროლის-განხორციელების საშუალებას აძლევს. ამავე დროს, თანდათან იზრდება მოთხოვნა მთავრობის მიერ პირველი ორი ფუნქციის განხორციელების ინსტიტუციონალურ უზრუნველყოფაზე;

5. საერთაშორისო გამოცდილება (არა მარტო ვეროკავშირის ქვეყნების, არამედ აშშ-ის და კანადის) ადასტურებს, რომ აუცილებელია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შეიქმნას რისკების მართვის სათანადო სტრუქტურა (მაგალითად, რისკების მართვის სააგენტო);

6. რაც შეეხება რისკების სახელმწიფო გადაზღვევის ორგანიზებას, აქაც ცხადია ისეთი სტრუქტურის (დაწესებულების ან ფონდის) შექმნის აუცილებლობა, რომელიც შეასრულებს ამ ფუნქციას. საქართველოში მსგავსი მექანიზმის შესაძლებელ ვარიანტად მიგვაჩნია კატასტროფული ზარალის ფონდის შექმნა აგრარული რისკების მართვის შესაბამის სტრუქტურასთან;

7. ჩვენი ქვეყნის რეალობიდან გამომდინარე, კერძო სადაზღვევო კომპანიები აგრარული რისკების დაზღვევას მხოლოდ სოლიდარული პასუხისმგებლობის (თანადაზღვევის) შემთხვევაში შეძლებენ. ამიტომ, სადაზღვევო მომსახურების მიწოდების განვითარების პერსპექტივა დაკავშირებულია მზღვეველების გაერთიანებასთან ისეთ სტრუქტურაში, რომელიც სასოფლო-სამეურნეო მწარმოებლებს (დამზღვევეებს) შეთავაზებს სტანდარტულ სადაზღვევო პროდუქტებსა და ზარალის განსაზღვრის მეთოდოლოგიას. (ამ შემთხვევაში, საქართველოს აგრარული სექტორისათვის კარგი იქნებოდა, მაგალითად, ესპანური "აგროსეგუროს" ტიპის სტრუქტურის ჩამოყალიბება).

ერთიანი მექანიზმის შექმნის არგუმენტად შეიძლება გამოდგეს დაზღვევის მიმართ სასოფლო-სამეურნეო მწარმოებლების გაზრდილი ნდობა და ასეთ დაზღვევაში თანამშრომლების სახით სახელმწიფოს მონაწილეობა;

გაგრარული დაზღვევის სრულყოფილი სისტემის ჩამოყალიბება შეუძლებელია სასოფლო-სამეურნეო მწარმოებლების გართიანებების განვითარების გარეშე. ცალკეულ სასოფლო-სამეურნეო მწარმოებელს გაუჭირდება გავლენა მოახდინოს დაზღვევის ამ პირობებზე, რომელსაც მას შესთავაზებს სადაზღვევო კომპანია. მამასადაამე, უპირველესი და უმნიშვნელოვანესი ფუნქცია, რომელიც უნდა განახორციელოს სასოფლო-სამეურნეო მწარმოებლების გართიანებებმა, არის სრულფასოვანი მონაწილეობა ახალი სადაზღვევო პროდუქტების შემუშავების თაობაზე გადაწყვეტილებების მიღებაში. ასევე უმნიშვნელოვანია, რომ სასოფლო-სამეურნეო მწარმოებლების გართიანებებმა თავის წევრებს მიაწოდოს ინფორმაცია დაზღვევისა და ახალი სადაზღვევო პროდუქტების შესახებ, გაუწიოს დამზღვევებს აუცილებელი კონსულტაციები და სხვა სახეობის დახმარება. ასეთი გაერთიანებების განვითარება, უპირველეს ყოვლისა, მათი საქმეა. მაგრამ, სახელმწიფომ, საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ყოველნაირად უნდა შეუწყოს ხელი ამ პროცესს შესაბამისი კანონმდებლობის შექმნით და სრულყოფით, საინფორმაციო და საგანმანათლებლო მხარდაჭერით.

9. სადაზღვევო საქმის „ექსპერტები თანხმდებიან, რომ ვითარდება დაზღვევის კულტურა, რომლის დამკვიდრებას წლები და შემეცნებითი საქმიანობა სჭირდება. სოციოლოგიურმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ საუკეთესო რეკლამა ანაზღაურებული თანხა-ამ დროს სუბიექტი გრძნობს, რომ დაზღვევის თანხა ფუჭად არ გადაუხდია, რაც ადამიანების ფსიქოლოგიურ განწყობაზე დადებითად მოქმედებს. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ აუცილებელია სადაზღვევო სისტემის პოპულარიზაცია, რომელზეც ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს და ამასთანავე, სადაზღვევო კომპანიებმაც მოსახლეობას ისეთი პროდუქტი უნდა შესთავაზონ, რომელიც მას დააინტერესებს.

დღეს, საქართველოში უადრესად აქტუალურია აგრარული რისკების დაზღვევის მწყობრივი სისტემის ჩამოყალიბება. ამიტომ მეტად მნიშვნელოვანია, რომ ამ მიმართულებით გატარებული ცვლილებები იყოს თანმიმდევრული და განხორციელდეს სტაბილური კანონმდებლობისა და ამ სისტემის მონაწილეების-სახელმწიფოს, სადაზღვევო სექტორისა და სასოფლო-სამეურნეო მწარმოებლების-ურთიერთნდობისა და თანამშრომლობის საფუძველზე.

Entrepreneurial (Economic) Risk Evaluation and Management in Farms



Omar Keshelashvili

Doctor of Economic Sciences, Professor, Academician
of Georgian Academy of Agricultural Sciences

J. Bazhunaishvili

Candidate of Economic Sciences

Abstract **(Internet Version)**

Risk as scientific understanding is used in many branches of science. In its jurisdiction is used in connection of law, in catastrophe theory it is connected with accidents and natural disasters. Risk analysis research is met in psychological, medical and other literature. In every sphere risk research is based on subject research of given science and naturally on its own understanding and methods. Variety of this direction is defined by its multiaspects.

